საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

სამშაბათი 1 ივნისი 1920 წ.

# ერთობა

ფასი 5 მანეთი

გაზეთი ღირს თვეში 125 მანეთი. ცალკე ნომერი ყველგან 5 მანეთი განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 10 მანეთი, მეოთხე გვერდზე 6 მანეთი სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის (15 - 2) 200 მანეთი. ნისიათ განცხადება არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორა იმყოფება: ერთობის ქ. № 4. შესახვევი რუსთაველის ქუჩის № 18-თან. ტელეფონი 16-62.

№ 120 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 120

მწუხარებაში მყოფნი დედა მაკრინე, მამა მაქსიმე, ძმა აკაკი, დები: ბაბილინა და ლიდა კვატაშიები ამით აუწყებენ ნითესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ შაბათს, 19 ივნისს გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი უდროოდ გარდაცვალებულის დაუვიწყარი ლეიტენანტის

სამუილ მაქსიმეს ძე კვატაშიას

სულის მოსახსენებლად ს. მექვენაში მთავარანგელოზის ეკლესიის სასაფლაოზე. (კუპ. 1—1)

ღრმათ დამწუხრებულნი სასტუმრო „ნოესთან“ არსებულ ცენტრალური არტელის ამხანაგობა ამით აუწყებენ ნაცნობთ, მეგობრებს, რომ ორშაბათს, 31 მაისს (ახ. სტ.) საღამოს 6 საათზე საქართველოს სახაზინო რკინის გზის საავათმყოფოდან გასვენებულ იქნა ზემო უჩხობში (გურია) ადერბეიჯანის ფრონტზე ბრძოლის დროს მოკლული ძვირფასი წევრი ამხანაგობისა

გერმანე ალექსის ძე შავიშვილი

დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს, 3 ივნისს (ახ. სტ.) 12 საათზე. ზემო უჩხობში. (გურია). (1745—2—1)

ღრმათ დამწუხრებული და ცხოვრებაში მუდამ მტირალი მამა ალექსი, ძმა ვასიკო, დები და სიძეები: კაკი და ივანე ყურაშვილები შვილებით, ელპიტი და ანდრი გოლიაძეები, ციცინო და თეოფილე გორდელაძეები შვილებით, ნინა და მეთოდე გოგვაძეები შვილით, უმცროსი და მარო ძმის ალერსს მოკლებული, ბიძაშვილები ავქსენტი და ნატალია შვილებით, ნიკიფორე და ფატი შვილით შავიშვილები, მამიდა ივლიტე, მამიდაშვილები ნოე და მარიამ, გიორგი კვირკველიძეები ვაცნობებთ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ ამა წლის მაისის 15-ს შაბათს, წითელი ხიდის მიმართულებით მუხანათ მტერთან ბრძოლაში მოკლულ იქნა ჩვენთვის დაუვიწყარი და მუდამ სახსოვარი გვარდიელი თფილისის 2-რე ათასეულის 1-ლი ასეულისა

გერმანე ალექსის ძე შავიშვილი

რომლის ცხედარი გამოსვენებული იქნა რკინის გზის საავათმყოფოდან 31 მაისს, სალ. 6 ს. სამშობლო მხარეში სოფ. ზედა-უჩხობში (გურია) დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს 3 ივნის, (ახ. სტ.) 12-ს. (1746—2—1)

საჭიროა გამოცდილი და ქართული ენის მცოდნე

მოანგარიშე

მისამართი: საზოგადოება ,,ახალი‘‘, [illegible] ქ. № 5. (1749—1—1)

განცხადება

საქართველოს სახაზინო რკინის გზების სამმართველო ამით აცხადებს, რომ 10 ივნისს 1920 წ. [illegible] შაოებზე:

1) ვაგონების დატვირთვა და გადმოტვირთვა სხვადასხვა მასალებით და სათბობი მასალით (ქვა-ნახშირი და შეშა).

2) სათბობ მასალის დარიგება საწყობიდან მოსამსახურეთა სახაზინო ბინებზე.

3) დატვირთვა ორთქლმავლების ქვანახშირით და აგრეთვე სხვადასხვა სამუშაოები სამასალო და სათბობ მასალის შემდევ საწყობებში: ბათუმი, სამტრედია, ფოთი, ქუთაისი, ზესტაფონი, შორაპანი, ჭიათურა, ხაშური, ბორჯომი, თფილისი, სანაინი და დროებითი საწყობი. ვადა სამუშაოებისა ამა 1 ივლისიდან 31 დეკემბრამდე 1920 წ.

განცხადებები უნდა შემოტანილ ან გაგზავნილი იქნეს თითოულ საწყობზე ცალკე დახურულ კონვერტში შემდეგი მისამართით: ქალ. თფილისი, საქართველოს სახაზინო რკ. გზების სამმართველო, სამასალო სამსახურის უფროსს. დაწვრილებითი ცნობების მიღება ან გამოთხოვა ზემო აღნიშნულ სამუშაოების შესახებ შეიძლება სამასალო ნაწილის უფროსისაგან და აგრეთვე საწყობების ზედამხედველებისაგან ადგილობრივ. (ნ. 3—1)

თოკი მანილის

[illegible] შესაკვრელ მანქანისთვის [illegible] მისამართი 19 თებერვლის ქუჩ., № 12 [illegible] მაღაზიაში. (1732 2—2)

საქართო იყიდება

„ფურგუნი“

სახურავით, ვარგა: ლიმონათის, ლუდის და კონიაკის ქარხნებისთვის. იქვე საჭიროა გამოცდილი დამტარებელი (კონდუქტორი), იკითხეთ კიროჩნი ქ. № 26 ლიმონათის ქარხანა. (1684 3—3)

## ჩვენ და ინგლისი

ევროპის გამარჯვებულ კოალიციაში პირველი ადგილი ინგლისს უჭირავს. იგია დღეს ფაქტიურად მსოფლიოს ბედის გადამწყვეტი მთავარი ძალა. და ჩვენთვის, როგორც პატარა სახელმწიფოსთვის, ეს ყველაზე უფრო ცხადია.

დღეს ჩვენ მივაღწიეთ დამოუკიდებელ საქართველოში თავისუფალ სახელმწიფოებრივ ცხოვრებას. ჩვენ წინ გადაშლილა შესაძლებლობა ევროპის კულტურის უმაღლეს ფორმების მიღებისა, შეთვისებისა, მონაწილეობისა. ქართველი ხალხი გრძნობს საკმაო ძალას და ენერგიას, რომ კულტუროსან ერებთან საკაცობრიო ჰპანში შესაფერი ადგილი დაიჭიროს და განვითარების პროცესში თავისი მცირედი წვლილი შეიტანოს. ჩვენ ვგრძნობთ თავს ევროპიელ ერათ, ან ისეთად, რომლის წარსული ევროპის ტრფიალი იყო, აწმყო მასთან შეკავშირებაა, მომავალი მასთან თანაზიარობა.

აღმოსავლეთის ჩამორჩენილობის ჯაჭვი გაწყვეტილია ჩვენთვის.

და აი ეს არის მთავარი, რაც უნდა გახდეს ხიდათ და გზათ ჩვენსა და იმ ევროპის სახელმწიფოთა შორის, რომელთაც ჩვენში ფეხი შემოუდგამთ.

და ერთი ამათგანი და უმთავრესიც არის ინგლისი.

ინგლისის ძალა სდგას დღეს ბათომის რაიონში, რომელიც ჩვენი ერის განუყოფელი ნაწილი, ჩვენი ორგანიული მთლიანობის აუცილებელი ელემენტია და ამით საკითხი ბათომის—რომელსაც ჩვენთვის საარსებო მნიშვნელობა აქვს, გახდა საკითხად ინგლისის დამოკიდებულებისა ჩვენთან.

„ჩვენ და ბათომი“ გადაიქცა საკითხად „ჩვენ და ინგლისი“.

მართალია, ბათომში დგას ძალები საფრანგეთის და სხვა სახელმწიფოებისაც, მაგრამ, ვიმეორებთ, გადამჭრელი მნიშვნელობა აქვს სწორედ ინგლისს.

იგია არა მარტო გადამწყვეტი ფაქტორი ამ საკითხში, არამედ ყველაზე მეტად დაინტერესებულია საერთოდ ამიერ-კავკასიის პრობლემით. მისი ნების გარეშე არავის შეუძლია ბათომის ცხოვრების შეშფოთება, მისი ნების გარეშე არავის შეუძლია ბათომის საკითხში ჩვენთან დადავება. მისი ნების გარეშე არავის შეუძლია ბათომზე საქართველოს უდაო უფლებაში იჭვი შეიტანოს. თვით სომხეთის დიპლომატიის განუსაზღვრელი პრეტენციოზობაც კი ვერ შებედავდა ამ საგანს შეხებოდა გარეშე ამ დიდი სურვილისა.

მით უმეტეს ვერავინ შებედავდა აქ რაიმე უწესოების გამოწვევას, თუ ინგლისის ნებისყოფა ამის წინააღმდეგ ყოფილიყო. და ჩვენ კი ვხედავთ ერთსაც და მეორესაც.

რაშია საქმე?

ჩვენ ვიცით შეხედულება და მთავარი, ძირითადი ხაზი ინგლისის პოლიტიკის, ჩვენ ამ ხაზით და მიმართულებით სრული კმაყოფილი ვართ, რადგან იგი შეიცავს ინგლისის ინტერესების დაცვასთან საქართველოს ინტერესების უზრუნველყოფასაც. მათში შეზავებულია საფუძველი კარგი განწყობილებისა, ინტერესთა თანხმობის ნიადაგზე.

და მიუხედავათ ამისა, ასეთ საწინააღმდეგო ფაქტებს აქვს ადგილი ბათომის გარშემო. ორში ერთი: ან ეს არის შედეგი ინგლისის ადგილობრივ წარმომადგენელთა პირადი პოლიტიკის, მათი საკუთარი პასუხისმგებლობით ნაწარმოები, ან ეს არის გამოცდა ჩვენი ძალის და ნებისყოფის.

უნდა ვაღიაროთ, რომ სანამ საქართველო არსებობს, იგი უბათომოდ ვერ იქნება. იგი ბათომს ვერ დასთმობს. ეს ისევე ნათელია, როგორც მზიანი დღე. თუ ბათომი დაკარგა, საქართველოც თან გადაჰყვება, რადგან მისი თვითარსებობის საფუძველი დანგრეული იქნება.

ბათომი რუსეთის დღევანდელმა პატრონებმაც კი უდაო ნაწილათ იცვნეს ჩვენი ქვეყნისა. ზავის ქვაკუთხედათ რუსეთთან, გარდა დამოუკიდებლობის აღიარებისა, სწორეთ ეს ფაქტი იყო.

და ის, რაც მოგვცა სახელმწიფომ, რომელსაც ჩვენ გამოვეყავით, არ უნდა ჩამოგვშორდეს მესამე ძალის გავლენით, თუ მას საბოლოოთ არ სურს ჩვენ გულში ამოფხვრას ის სიმპატიის ძლიერი ძაფები, რომელიც გაბმული იყო დღემდე.

კიდევ ერთი: ზევით ვსთქვით, რომ ჩვენ ევროპიელებათ ვგრძნობთ თავს აზიის ამ კუთხეში. და ჩვენ გვინდა, გვაქვს საფუძლიანი პრეტენზია ისეთი მოპყრობა მოვითხოვოთ, როგორც ევროპიელებს შეეფერება. აღმოსავლეთის ველურებში ჩარიცხვა, ან მათთან დადარება—ეს ისეთი გაუსწორებელი შეცდომა იქნებოდა, რომელსაც ჩვენი ხალხი ვერასოდეს ვერ შეურიგდება.

ამიტომ ყოველ სახელმწიფოს, რომელიც ჩვენთან მოდის, არ უნდა ჰქონდეს მიზნათ საკოლონიო პოლიტიკის მეთოდები გადმონერგოს ჩვენს ქვეყანაში.

ჩვენ გვესმის აუცილებლობა დიდ ევროპიულ სახელმწიფოთა ინტერესების უზრუნველყოფისა, და არასოდეს არ გვითქვამს უარი ამ ინტერესებისათვის სათანადო ანგარიშის გაწევაზე. პირიქით, ამ ინტერესების დაკმაყოფილებაზე ვაგებდით დამეგობრების პოლიტიკას. მაგრამ ერთის გარდაუვალის პირობით: ის არის დაცვა ჩვენი სასიცოცხლო ინტე-[illegible] ასეთ გადათელვას ჩვენ ვერ შეურიგდებით. რევოლიუციის ცეცხლში ნაშობი ჩვენი რესპუბლიკა—ვერ გახდება მონობის მატარებლათ. იგი ასეთ უღელს ვერ შეეგუება. იგი სასიცოცხლო ძარღვს თავის ხელით არ გადაიჭრის და არც სხვას მისცემს ნებას მისი გადაჭრისას. ამ სასიცოცხლო ინტერესების დაცვასთან ერთათ, იგი ყოველთვის უდიდესი სიმპატიით მოეკიდება ყველა დიდ სახელმწიფოთა ინტერესებს.

და ჩვენ გვინდა ვიფიქროთ, რომ მას შემდეგ, რაც ჩვენმა დემოკრატიამ დაამტკიცა თავის უნარი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებელ ცხოვრების, ჩვენს არსებით ინტერესებს მეტ ანგარიშით შეხედავენ ჩვენში მოსული გარეშე ძალები.

---

*) ბარათაშვ[illegible]

**) გრიშაშვილი.

## თანამედროვე კითხვები

### 12

**ორი უკიდურესობა.**

მკითხველი ნახავდა, ჩვენ გაზეთში პ. ბ. აქსელროდის წერილებს რუსეთის ბოლშევიზმის შესახებ. სოციალ-დემოკრატიის მამამთავარი შეურიგებელი მოწინააღმდეგეა იმ პოლიტიკის, რომელსაც აწარმოებს ლენინის მთავრობა. სწუხს, რომ დასავლეთ ევროპაშიაც აქვს ნიადაგი ბოლშევიკურ მისწრაფებებს.

ის დიდი ხანია საჭიროთ სცნობს იქიდან რუსეთში სოციალისტური კომისიის გამოგზავნას და აქ „საბჭოთა“ წესწყობილების დაახლოვებით გაცნობას. იმედი აქვს, რომ ევროპიელი მუშათა კლასი ისარგებლებს ამნაირი გაცნობით და გაისწორებს საბრძოლველ გზას.

აქამდის რუსეთი არ უნახავთ საერთაშორისო სოციალიზმის წარმომადგენლებს. ბოლშევიკები გზავნიან საზღვარგარეთ აურაცხელ პროპაგანდისტებს, აგიტატორებს, აურაცხელ ფულს, აქებენ იქაურ გაზეთებში თავის „სოციალისტურ“ საქმეებს. თვალით კი არავისთვის დაუნახვებიათ ეს საქმეები. დასავლეთის სოციალისტურ პარტიებს არ აქვთ ნათელი წარმოდგენა ბოლშევიკური რუსეთის შესახებ. ვერც ერთ გაზეთში ვერ ნახავთ შესაფერ საფუძლიან წერილებს, ნახავთ მხოლოდ გულუბრყვილობას და გაუგებრობას.

პ. ბ. აქსელროდის წინადადება დიდი ხანია მიიღეს საზღვარ-გარეთის სოციალისტებმა. ჯერ ბერნის, მერე ლიუცერნის საერთაშორისო თათბირზე დაადგინეს კომისიის გაგზავნა „საბჭოთა“ რუსეთში.

აქამდის არ განხორციელებულა ეს დადგენილება. მარტო ინგლისის „მუშათა პარტიამ“ გამოგზავნა თავისი წარმომადგენლები. ესენი, რა თქმა უნდა, აქ ბევრს ნახავენ, ბევრს გაიგებენ, მაგრამ ეს არ იკმარებს საზღვარ გარეთ ამ კითხვის გარშემო სრული სინათლის შესატანათ. აქ, როგორც აქსელროდი ფიქრობს, საჭიროა უფრო ფართო კომისია, რომელშიაც მონაწილეობას უნდა იღებდენ სხვადასხვა ქვეყნების სოციალისტები. ამ კომისიაში უნდა შედიოდენ საერთაშორისო სოციალიზმის საუკეთესო წარმომადგენლები.

მაშინ მოხერხდება ბოლშევიზმის ყოველი მხრივ და საფუძლიანათ შესწავლა. რასაკვირველია, არც აქსელროდი ფიქრობს და არც ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს საკმაო იქნება ბოლშევიზმთან საბრძოლველათ, მის დასამარცხებლათ. ბოლშევიკურ მისწრაფებებს სხვა, უფრო მაგარი ფესვები აქვს. ის წარმოშობა ამ ნახევარი საუკუნის ეკონომიურმა და პოლიტიკურმა ისტორიამ.

ჩვენ ვიცით, რომ დასავლეთ ევროპაში, არსად არ იყო და არც არის ძლიერი სოციალისტური მოძრაობა. ინგლისში, საფრანგეთში, ამერიკაში მუშები არ შორდებოდენ ყოველ დღიურ წვრილწვრილ კითხვებს. მომავალზე არაფრათ ფიქრობდენ. დღევანდელი კვერცხი მირჩევნია ხვალინდელ ქათამსო,—ამ პოლიტიკური სიბრძნით ხელმძღვანელობდენ. სოციალისტურ პარტიებს არ ქონდათ დიდი გავლენა მუშათა კლასის ფართო წრეებზე. ეს წრეები დარწმუნებული იყვენ, რომ წყნარათ, მშვიდობიანათ, გამეფებულ კლასებთან შეთანხმებით, ისევ კაპიტალისტურ ფარგლებში შეიძლება თავისი მდგომარეობის გაუმჯობესება. გერმანია იყო გამონაკლისი. აქ იყო მძლავრი სოციალდემოკრატია, რევოლიუციონური მარქსიზმის მსოფლმხედველობით შეიარაღებული. მაგრამ ომის დროს ამანაც დაჰკარგა ეს იარაღი და მმართველ წრეებს დაუახლოვდა.

ამ უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში კლასთა თანამშრომლობა არ დარღვეულა დასავლეთ ევროპაში. საერთაშორისო დემოკრატიამ ვერ გამოიჩინა შემაერთებელი ძალა და ვერ გამოიყვანა ევროპის მშრომელი ხალხი იმპერიალისტების წინააღმდეგ.

ამ გარემოებამ გამოიწვია რეაქცია თითონ მშრომელ ხალხში. ის ხალხი [illegible] ლიტიკაში და ფეხიჯგადადგა მეორე უკიდურესობისაკენ. თუ მშვიდობიანი გზით [illegible]რაფერი ვიშოვნეთ, შეურიგებელი რევოლიუციონერობით მაინც ვიშოვნითო, ასე ფიქრობენ მუშათა კლასის ფართო წრეები. დასავლეთ ევროპის სოციალისტურ პარტიებს რომ შესძლებოდათ იმპერიალისტების წინააღმდეგ შეერთებული ძალით გამოსვლა, მაშინ ბოლშევიკური მისწრაფება ასე ვერ მოიკიდებდა ფეხს. საერთაშორისო სოციალ-დემოკრატია უნდა ებრძოლოს კლასთა თანამშრომლობის, შეგუების პოლიტიკას, უნდა ებრძოლოს რეფორმიზმს, და ამ გზით გაადვილდება ბრძოლა ბოლშევიზმთანაც. ბოლშევიკურ გატაცებას ადგილი აღარ ექნება, როცა მუშათა კლასი მოშორდება გამეფებულ კლასებთან მომრიგებელ და შემათანხმებელ საქმიანობას.

მთელი ქვეყნის მშრომელი ხალხი მოიხდის ორნაირ ავადმყოფობას—რეფორმისტულს და ბოლშევიკურს, როცა ის დაადგება რევოლიუციონური მარქსიზმის გზას, როცა ის იბრძოლებს სადღეისო მოთხოვნებისთვის და ერთ წამსაც არ გაუშვებს მხედველობიდან საბოლოო მიზანს. ამ მიზანზე არ ფიქრობდენ საზღვარ გარეთელი რეფორმისტები, რომლებიც მშვიდობიანი გზით მარტო დღევანდელ დღეს უწევდენ ანგარიშს. ამაზე არ ფიქრობს არც რუსეთის ბოლშევიზმი, რომელიც რევოლიუციონური გზით ანგარიშს უწევდა მარტო მუშათა კლასის სადღეისო ინტერესებს.

საჭიროა ბრძოლა ორივე კუთხით. ამ ბრძოლაში ჩვენ გამოგვადგება მარქსისგან გადმოცემული იარაღი.

რამოდენიმე წლის წინეთ გერმანიის სოციალდემოკრატიაში კამათი იყო ტაქტიკური კითხვების გარშემო. მემარჯვენე სოციალისტები ეკამათებოდენ მემარცხენეებს. მემარჯვენეები სხვათა შორის მეფობდენ ბადენში. მემარცხენეების წარმომადგენელი იყო ლიუქსემბურგი. კაუცკი ებრძოდა ორივე მხარეს. ერთ საკამათო წერილს ათავებდა შემდეგი სიტყვებით: „ბადენიდან ლიუქსემბურგამდის მდებარეობს ქ. ტრირი, იქ მარქსი დაიბადა, ვინც მარჯვნით წავა, ის ბადენთან მივა, მარცხნივ წამსვლელი ლიუქსემბურგს მიადგებაო“. კაუცკი ამაში ხედავდა სიმბოლოს, ვისაც სოციალიზმისთვის ბრძოლა უნდა, ის გვერდს აუხვევს მარჯვენა და მარცხენა უკიდურესობას, ის ივლის შუა გზით, მარქსის ხელმძღვანელობით.“

საერთაშორისო სოციალდემოკრატია თავის პოლიტიკურ ყოფაქცევას სარჩულათ უნდა დაუდოს კაუცკის მაშინდელ წერილში მოყვანილი ეს საუცხოო სიმბოლო.

ს. დევდარიანი.

## ჩვენი პასუხი

(უბრალო საკითხის გამო).

ამხ. გვაზრათელი არ არის კმაყოფილი ჩვენი პატარა წერილით სახელმწიფოსაზოგადოებრივ დაწესებულებაში და პარტიულ ორგანიზაციებში გამგებლობის შეთავსების შესახებ.

პირველ ყოვლისა მას სწყენია, რომ ჩვენ ამ საკითხს უბრალო ვუწოდეთ, ჩვენ იძულებული ვართ განმეორებით უბრალო შედარება ვუწოდოთ მას, იმ ფრიად მნიშვნელოვან და უდიდეს საკითხებთან, რომელიც სდგას პარტიულ ყრილობაზე.

ამხ. გვაზრათელის მიერ აჩემებულ საკითხის შესახებ ჩვენ გვაქვს ტრადიცია და ევროპის მაგალითები, ხოლო ბევრი სხვა საკითხების შესახებ საკუთარი გზა უნდა ავირჩიოთ. ამაზე საჭიროა კამათი და აზრთა გაზიარება დღის წეს-რიგში სდგას, სხვათა შორის, აგრარული საკითხი, რომელიც ჩვენთვის უფრო ადვილი გადასაჭრელია მასალების მოპოვების გამო, ვიდრე საერთო სოციალურ-ეკონომიური ან ფინანსიური პოლიტიკა. მაგრამ აგრარული საკითხის თუნდ ერთი ნაწილიც—თავისუფალი ყიდვა-გაყიდვა მიწების—ჩვენთვის, თუ შეიძლება ასე ითქვას, ასჯერ უფრო სერიოზულია, ვიდრე შეთავსების საკითხი.

თუნდაც ჩვენგან წამოყენებული დებულება შეთავსების შესახებ არ მიიღოს სავსებით პარტიულმა ყრილობამ, ამისთვის ჩვენ შავს არ ჩაიცვამთ· ხოლო რაც შეეხება აგრარულ საკითხის თუნდაც ერთ ნაწილს—მიწის ყიდვა-გაყიდვის თავისუფლებას,—ეს კითხვა ჩვენ მიგვაჩნია დიდ მნიშვნელოვანად, ჩვენი დემოკრატიის მომავლისათვის, პარტიისთვის და მისი ელემენტებისათვის. შედარებით ამ კითხვასთანაც შეთავსების საკითხი უბრალოა, მაგრამ უკანასკნელს უფრო სერიოზული ხასიათი მიეცემა, თუ მას შევადარებთ შემდეგ კითხვასთან: ცამეტი წევრი იყოს ცენტრალურ კომიტეტში, თუ თხუთმეტი. უკანასკნელი მაგალითი იმისთვის მოვიყვანე, რომ პ. აქსელროდის გადმოცემით 1904 წელს ოდესის კომიტეტს სპეციალური კაცი გაუგზავნია ჟენევაში პლეხანოვთან იმის [illegible] გილობრივ კომიტეტში, თუ შვიდი. ოდესის ამხანაგებისთვის უთუოდ ეს კითხვა დიდ ღირებულებას წარმოადგენდა და დიდი კამათიც გამოუწვევია ადგილობრივ პარტიულ წრეებში, ხოლო იმ დროებში სამხრეთ რუსეთში მზადდებოდა დიდი გაფიცვები და ამისთვის კი თითქმის არავითარი ყურადღება არ მიუქცევიათ.

რასაკვირველია, ამხ. გვაზრათელი, შედარებით დამფუძნებელ კრებულის ტანისამოსის ფორმასთან, კომიტეტის წევრთა რიცხვი მეტად მნიშვნელოვანია პარტიისთვის.

ამხ. გვაზრათელმა, რომელიც უთუოდ იზიარებს ევროპის ორიენტაციას, საბჭოთა რუსეთის მაგალითით შეგვაშინა. უთუოდ იცის ამხანაგმა ევროპის ერთი მაგალითიც. როდესაც საფრანგეთში დაახლოვებით ისეთი მდგომარეობა იყო, როგორც რუსეთშია, ესე იგი, ქვეყანა რევოლიუციონურ პროცესს განიცდიდა, იაკობინელებს შეთავსება ბუნებრივად მიაჩნდათ. თქვენ იტყვით, იქ რევოლიუცია იყო, ეს ჩვენს პირობებს არ ეგუება. შვეიცარიაში რევოლიუცია არ არის, იქაც მიღებულია შეთავსება.

ორი სიტყვა შვეიცარიაზე. ჩვენ მოვიყვანეთ ჟენევის მაგალითი ერთ მოქალაქე ვილმენზედ, რომელიც ადვოკატიც არის და მსაჯულიც. ჩვენ არ გვიხმარნია სიტყვა შვეიცარია, თუმც ჟენევა შვეიცარიაშია და აი, რატომ: მართალია, შვეიცარიაში სამოქალაქო უფლება, გაერთიანებულია, მაგრამ სისხლის სამართლის პროცესი არ არის გაერთიანებული და ყველა კანტონები ამ მხრივ დამოუკიდებლად მოქმედებენ. სასამართლოს ორგანიზაციაც კანტონის ფარგლებში, განისაზღვრება სავსებით ადგილობრივ კანონით. მაგ. ერთ კანტონში მოსამართლეს ხალხი ირჩევს პირდაპირ, მეორეში საბჭო ნიშნავს, ერთ კანტონში ცენზია მიღებული, მეორეში არა. ჟენევის მომრიგებელი მოსამართლე ვილმენი უმაღლეს სასამართლოში იცავდა ერთი ემიგრანტის საქმეს. ჩვენ დავწერეთ ის, რის მოწამეც ვიყავით. თქვენ ასეთ მაგალითს ეძახით ველურობას. საბრალო ჩვენი ჟენევა, ჟანჟაკ რუსოს სამშობლო და დემოკრატიის აკვანი—რა სასტიკი განაჩენი გამოიტანეს! უნდა გითხრათ გულახდილად, რომ მე მიყვარდა შვეიცარია და კერძოდ ჟენევა, სხვათა შორის, იმიტომ, რომ იქ ილლუზიებს ნაკლები ადგილი ჰქონდა პოლიტიკაში. თუ პარტიის ლიდერი იქ მთავრობაში შედის, რატომ უნდა მიატოვოს მან თავისი პოსტი ორგანიზაციაში? დარომ დატოვოს ის, მაინც ლიდერად დარჩება და ფაქტიურად პარტია მის გავლენის ქვეშ იქნება. ჟენევაში ცნობილ ზუალას აზრს სავსებით იზიარებენ და კატას „კატას“ ეძახიან.

ბ. თეკლთელი.

## საერთაშორისო კოოპერატიულ კონგრესზე

**წერილი ჟენევიდან.**

12 აპრილს ქ. ჟენევაში შეიკრიბა საერთაშორისო კოოპერატიული კავშირის კონგრესი, რომელიც გაგრძელდა სამი დღე.

ომის შემდეგ ასეთი კონგრესი პირველად ხდება. მას დაესწრო 17 სხვადასხვა ერიენულ კოოპერატივთა წარმომადგენელნი, მათ შორის საქართველოს დელეგატიც, გერმანელები არ დაესწრნენ; მიზეზათ ფრანკფორტისა და სხვა ქალაქების ფრანგების მიერ ოკუპაცია მოიყვანეს. ვფიქრობ კი, რომ ჟენევაში არ მოსვლით მათ სურდათ პროტესტი გამოეცხადებიათ საფრანგეთის ჯარის მიერ გერმანიის ტერიტორიის ერთი ნაწილის „დროებით“ დაჭერის წინააღმდეგ.

ბელგიელები და ფრანგები საყვედურით გამოვიდენ ცენტრალურ ევროპის კოოპერატივთა ომის დროს მოქმედების გამო. მათი აზრით გერმანიისა და ავსტრო-უნგრეთის კოოპერატივებს არ შეუსრულებიათ მათი მოვალეობა, რადგან მათი კავშირები არ ამხედრდენ ომის წინააღმდეგ. დღეს ძველ ანგარიშს ასწორებენ, თითქოს საფრანგეთის სოციალისტური ან სხვა ეკონომიური კავშირები სრულიად წმინდანი იყვნენ და მათი პოზიცია და მოქმედება საკრიტიკო არ ყოფილიყოს ევროპის საშინელ ომის დროს. —რუსებიც სჩიოდენ, რომ ბოლშევიკური მთავრობა ავიწროებს მათ კოოპერატივების მოქმედებას, და ზღუდავენ მათ თავისუფლებას, ამავე დროს ფრანგებს დარიგებას აძლევენ თავი დაენებებიათ წარსულზე ლაპარაკისათვის და საქმეს შედგომოდენ. პატარა ინცინდენტი ჩეხებსა და უნგრელებს შორისაც კი მოხდა.

მიუხედავათ ყველა ამისა, ეს კონგრესი საქმიანი გმოდგა და მას აქვს უაღრესი მნიშვნელობა, განსაკუთრებით დღეს, როცა მთელი ქვეყნის ეკონომიური მდგომარება გამოურკვეველი და რთულია, და გამოსავალი არსად სჩანს. კოოპერატივების არსებობა და მოქმე-[illegible] აღორძინება და მუშაობა. გამოდის, რომ ამ შემთხვევაში კოოპერატივების დანიშნულება დიდია და მათ შეუძლიათ დაუფასებელი სამსახური გაუწიონ და ერთნაირი სარგებლობა მოუტანონ კაცობრიობას,—მათ შეუძლიათ დიდი როლის თამაში, როგორც თითეულ ერის შინაურ, მატერიალურ პირობების გაუმჯობესებისათვის, ისე ხალხთა შორის ურთიერთობისა, საქონლის მიწოდების და გაცვლა-გამოცვლის, ეკონომიურ-კომერციულ დამოკიდებულობის აღდგენისა და განმტკიცების საქმეში. ეს იქნება ამასთანავე საშუალება ერთა შორის ზავისა და მშვიდობიანობის დამყარების, რომლისთვისაც დღევანდელი ხალხის „მესვეურნი“ ბურჟუაზიული მთავრობანი სრულიად უნიჭო და უხეირონი გამოდგენ; მათ ვერ შესძლეს ვერც ერთი სერიოზულ პრობლემის გადაწყვეტა და ხალხი უფსკრულისაკენ მიჰყავთ. კოოპერაცია უძვირფასესი იარაღია სპეკულიაციისა და ცხოვრების გაძვირების წინააღმდეგ ბრძოლისათვის. ცხადია ის ითამაშებს პირველ როლს ეხლანდელ ტრანსფორმაციის ხანაში. ჩვენში, საბედნიეროთ, დიდი ხანია რაც ეს შეიგნო, როგორც მთავრობამ, ისე ხალხმაც და მომავალშიაც, იმედია, ჩვენი მშრომელი ხალხი დიდი ყურადღებით მოეპყრობა ამ სახის ეკონომიურ კავშირთ და შეეცდება მათ გამრავლებას და გაძაგრებას.

კონგრესი შეეხო ბევრ საყურადღებო საკითხს, სხვათა შორის, ომის გამო განადგურებულ კოოპერატივების დახმარების საქმეს. საქართველოს კავშირებსაც შეპირდა დახმარების აღმოჩენას ამისთვის არსებული სავანგებო კომისია.

კონგრესი გაიხსნა 12 აპრილს ჟენევის პარლამენტის დარბაზში. თავმჯდომარეობს ინგლისელი მაქსველი. ხსნის რა კრებას თავმჯდომარე, მოკლე სიტყვით მიმართავს დამსწრეთ. ის მადლობას უძღვნის სხვადასხვა კოოპერატორებს და განსაკუთრებით ამ საქმისთვის მომქმედ პირთ. „წარსულმა არ იქონიოს გავლენა ჩვენ მუშაობაზე. ხალხთა შორის არ არის ნამდვილი მტრობა და სიძულვილი, ის არის ხელოვნურათ შექმნილი და გამოწვეული. ჩვენმა კოოპერატიულმა კავშირმა უნდა შეარიგოს, დაახლოვოს და შეაერთოს სხვა და სხვა ერიენებანი და ამ გზით დაამყაროს ნამდვილი ძმობა და ჩამოაგდოს ზავი და მშვიდობიანობა“—ასეთი იყო მთავარი აზრი მაქსველის სიტყვის, რასაც სხდომა მხურვალე ტაშით შეეგება.

ჩვეულებრივი მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვეს ბ. რენომ (ჟენევის კოოპერატივთა თავმჯდომარე) და ანსელმა (შვეიცარიის კოოპერატიულ ორგანიზაციათა თავმჯდომარე), რომელმაც სთქვა

# დღეს

საგარეო საქმეთა სენატის კომისიამ უარყო ვილსონის წინადადება სომხეთის მანდატის შესახებ.

საბჭოთა რუსეთის დელეგატი კრასინი ლონდონში მოვიდა.

ჩეხო-სლოვაკიის პრეზიდენტათ მასარიკი აირჩიეს.

— —

### გენერალური შტაბის სამხედრო ცნობა

მაისის 30 ხულოს მიმართულებით ადგილობრივ მომქმედმა ბრბომ ოსმალთა ოფიცრების ხელმძღვანელობით დაიკავა დანისნარეული, მაგრამ ჩვენმა ჯარმა მიუსწრო და ბრბოები გარეკა.

დანარჩენ ფრონტებზე სიწყნარეა.

შემდეგი: „მტრობა, ცუდი გრძნობანი, შური, რომელიც დაბადა საძაგელმა ომმა, უნდა მოისპოს და ყველა ხალხმა ერთი მეორეს უნდა გაუწოდოს ძმურათ ხელი, თუ კაცობრიობას სურს, რომ მართლა დამყარდეს ხალხთა შორის კარგი განწყობილება და ერთა შორის დახმარება და კოოპერაცია. გვეყოფა ომი, მილიონობით დახოცილი ადამიანები, დანგრევა-განადგურება, დროა ავაშენოთ.“

საერთაშორისო კოოპერატიულ კავშირის დამაარსებელ მოხუც დე ბუავ-ს კონგრესი დეპეშას უგზავნის ქ. ნიმში (საფრანგეთი). მდივანი აცხადებს ამის შემდეგ, რომ სხდომას ესწრება ალბ. ტომა, საერთაშორისო შრომის ბიუროს დირექტორი და ვლიან ერთა ლიგისა და ინგლისის მთავრობის წარმომადგენელთ.—საფრანგეთის დელეგაცია წარმოდგენილია სხვათა შორის გამოჩენილი ეკონომისტით და კოოპერატორით პროფ. შარლ ჟიდით.

კრება გადადის შემდეგ დღის წესრიგზე. იხსნება მსჯელობა კოოპერატივთა საზოგადო მდგომარეობაზე.

ქ-ნ ლენსკაია და ბ. ზელგეიმი (რუსეთი), რომელნიც, როგორც ისინი ადასტურებენ, წარმოადგენენ რუსეთის თავისუფალ კოოპერატივებს, ასწერენ კავშირების ცუდ აუტანელ მდგომარეობას, მათ დევნას ბალშევიკების მიერ. კოოპერატივების გამგეობაში სადაც არჩეულია 8 წევრი, ბალშევიკური მთავრობა ნიშნავს ათ თავიანთ წარმომადგენელთ, რის გამოც ხმის უმრავლესობით კითხვები ისე სწყდება, როგორც ეს მათ მოეხასიათებათ. დელეგატები მოითხოვენ რომ პოლიტიკა განდევნილი იქნას კოოპერატივიდან და პროტესტს აცხადებენ ასეთ უსამართლობის წინააღმდეგ. ისინი მოითხოვენ საერთაშორისო კავშირისაგან, რომ მან დაიცვას რუსეთის კოოპერატივის თავისუფლება ბალშევიკების ძალმომრეობისაგან და შემოაქვთ შესაფერი წინადადება, რასაც კონგრესი ერთხმათ ღებულობს.—სხვათა შორის მათ განაცხადეს აგრეთვე, რომ ის დელეგატები (კრასინი და სხ.), რომელნიც დღეს კოპენჰაგენში ანტანტის წარმომადგენლებთან მუსაიფობენ, წარმოადგენენ არა კოოპერატივებს, არამედ სოვეტს.

სერგი (ბელგია) ეხება ბელგიის კოოპერატივების ისტორიას. ის უსაყვედურებს ავსტრო-უნგრეთისა და გერმანიის კოოპერატივებს მათ უმოქმედობას ომის წინააღმდეგ, „მათ არ გაუცხადებიათ პროტესტი არც ომისა და არც დეპორტაციის წინააღმდეგ, როცა ჩვენ კოოპერატივებს სწვავდენ პრუსიელები, მათ არ ამოუღიათ ხმა“ ადასტურებს ორატორი. ის საჭიროდ სცნობს, რომ შეცვლილ იქნას გლაზგოში შემუშავებული წესდება, რომ კოოპერატივებს შეეძლოთ და მოვალეობა აწევდეთ ამხედრდენ ახალ ომის წინააღმდეგ.

უნგრეთის წარმომადგენელი ამბობს, რომ მათ ყოველი ღონისძიება იხმარეს, რომ ომი არ მომხდარიყო და როცა ის, საუბედუროთ, მოხდა, მათ არა ერთხელ მოითხოვეს მისი შეწყვეტა.

**ანტონ ყორყოლიანი**

(დასასრული იქნება)

# ფრონტისათვის

ფოთის ჯარისკაცთა და გვარდიელთა ოჯახების დამხმარე კომიტეტმა 25 მაისს ადერბეიჯანის ფრონტზე გაგზავნა თავისი რწმუნებული, კომიტეტის წევრი, ივანე გრიგოლის ძე დიდია, რომელმაც გაიტანა მეომართათვის საჩუქრები რამოდენიმე ათი-ათასი მანეთისა: ჩაი, შაქარი, თუთუნი, პაპიროსი, ასანთი, სხვადასხვა კონსერვები, კრუჟკები და სხვა მრავალი საჭირო ნივთები და თან უძღვნა შემდეგი წერილობითი სალამი:

„სალამი მებრძოლთ, უგულითადეს სალამს გიძღვნით თქვენ, უებრო მებრძოლნო! თქვენი საარაკო გმირობა თანაბრად აგვირგვინებს მტერსა და მოყვარეს, ხოლო მახლობელ მომავალში მთელ ქვეყანას თქვენის ქებით აღაპარაკებს. თქვენს საგმირო საქმეებს მამები შვილებსა და შვილიშვილებს აღტაცებით მოუთხრობენ, პოეტები ლექსებით შემკობენ, და იმ ლექსებს თქვენი ძვირფასი სამშობლოს მშვენიერი ასულნი ჩანგურებზე ტკბილად დაამღერებენ.

ლომ-გულნო! ნურას იდარდებთ თქვენს ძვირფას ცოლ-შვილზე, საყვარელ კერაზე! ისინი, გამარჯვების შემდეგ შინ დაბრუნებულთ, თქვენ დაგიხვდებიან სასურველად მოვლილნი და უზრუნველყოფილნი, კერა ისევ-ისე გაჩაღებული.

მხოლოდ ჩვენი ერთადერთი თხოვნა თქვენდამი შემდეგი არის:

ყოველი, თქვენ მიერ წინ წადგმული ნაბიჯი იქნეს ჯეროვნად გათვალისწინებული, დინჯი და უტყუარი. არ აჩქარდეთ და თავი უმიზნოდ არსად წააგოთ. იცოდეთ, რომ ყოველი თქვენგანი სამშობლოსათვის ძვირფასია, რადგან იგი მისი კეთილ-დღეობის ერთგული დარაჯია. აჩქარებით წინსვლას ხშირად მოჰყვება ხოლმე უკუქცევა; ხოლო უკუქცეულთ ზურგში ხვდება მტრის წყეული ტყვია და ლახვარი.

მაგრამ ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებულნი, რომ თქვენ მუხანათ მტერს ზურგს არ უჩვენებთ, და თქვენი წინსვლა იქნება ჭეშმარიტი ნიშანი სახელოვანი სამშობლოს დროშის ძლევამოსილებისა.

კიდევ სალამი, ძვირფასო მეგობრებო! ადრე ვიხილავთ თქვენს სრულ გამარჯვებას და შინ საყვარელ ცოლ-შვილში, მშვიდობით დაბრუნებას. ვეალერსებით თქვენს სახელს!

თაყვანსა ვცემთ გამარჯვების სიმბოლოს, სახელოვან წითელ დროშას!

ფოთის გვარდიელთა და ჯარის-კაცთა ოჯახების დამხმარე კომიტეტი.

კომიტეტმა უკვე შეაგროვა ფოთის მოქალაქეთა შორის ჯერ-ჯერობით 100,000 მანეთამდე; გარდა ამისა, დააწესა 20 პროც. სალამოების გამართვით შემოსავლისა მეომართა ოჯახების სასარგებლოთ.

ყოველ ასეთ ოჯახს, თუ რომ იგი მოკლებულია მხენელ-მთესველს, ეთესება კომიტეტის ხარჯით ყანა და ეძლევა სახარჯო ფული. სამაგალითო ის არის, რომ აქ საერთო თავდადებული მუშაობაა. „ყველანი ერთისათვის, ერთი ყველასათვის“! გაიძახის მოქალაქეთა მთელი შემადგენლობა. ამ შემთხვევაში ჩვენ ვერ ვარჩევთ სხვადასხვა პარტიებს: სამშობლოს განსაცდელმა და მისდამი განუსაზღვრელმა სიყვარულმა დაჩრდილა ყოველი კერძო და ყველანი თანაბრად აამუშავა, რათა ჩვენმა დემოკრატიულმა მთავრობამ ჯარმა და ერმა მოიპოვოს სახელოვანი გამარჯვება.

**გიგიბერია,**

ონიდან შემდეგი დეპეშა მივიღეთ:

რაჭა-ლეჩხუმის ჯარის კაცებს და გვარდიელებს:

თქვენს ოჯახებს დახმარება ეძლევა სურსათით და მუშაობით. იყავით დარწმუნებული, რომ თქვენს სახლს და კარს უვლიან და საჭირო არ არის ბრძოლის ველიდან უკან მეუხარეთ მოხედვა.

დამფუძნებელ კრების წევრი რუბენ ყიფიანი.

# დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

31 მაისი.

### ბალშევიკების ცნობები.

### სამხედრო ცნობა.

მოსკოვი. 30 მაისი. სვენციანის მიმართულებით ჩვენმა ჯარებმა სოფელთა წყება დაიკავეს. მოლოდეჩნოს მიმართულებით პოლოცკ-მოლოდეჩნოს რკინის გზის ხაზის ორივე მხარეზე შეუპოვარი ბრძოლებია. ბორისოვის რაიონში გადასასვლელებზე სასტიკი ბრძოლებია. ბობრუისკის რაიონში ბრძოლის შემდეგ ხელთ ვიგდეთ მტრის მჩატე ზარბაზანი. ელობინ-მოზირის მიმართულებით მტრის შემოტევა უკუ ვაგდეთ, მტერმა ბერეზინისაკენ დაიხია. კიევის რაიონში, მარცხენა ნაპირის რაიონში სასტიკი ბრძოლებია გამაგრებულ პოზიციათა ხელში ჩასაგდებათ. დნეპრის მარჯვენა ნაპირზე ჩვენი ნაწილები ტრიპოლიას სამხრეთით ჩვენთვის სასურველ ბრძოლას აწარმოებენ. ტარაშჩისა და ომანის რაიონებში ჩვენი წინსვლა კარგათ ვითარდება.

სვენციანის მიმართულებით დასძლიეს რა მტრის წინააღმდეგობა, ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს დაბა კოზიანის აღმოსავლეთით 4—5 ვერსზე მდებარე რამდენიმე ადგილი. პოსტავის ჩრდილო-დასავლეთით უკუ ვაგდეთ მტრის შემოტევა, ჩვენ წამოვიყვანეთ ტყვეები და წამოვიღეთ ერთი ტყვიისმფრქვეველი. მოლოდეჩნოს მიმართულებით კრივიჩი დოლინოვო-პლეშჩენიცის ფრონტზე სასტიკი ბრძოლებია. ბორისოვის რაიონში ჩვენმა ნაწილებმა დაიკავეს პოზიციები ბერეზინის მარცხენა ნაპირზე. ბობრუისკის რაიონში მტრის შემოტევა უკუ ვაგდეთ. რეჩიცის მიმართულებით ადგილობრივი ხასიათის ბრძოლებია. კიევის რაიონში მარცხენა ნაპირის ნაწილში მდგომარეობა უცვლელად არის. მარჯვენა ნაპირზე ჩვენი შემტევი ნაწილები დნეპრის გასწვრივ, კიევის სამხრეთით 40 ვერ. ტრიპოლიასთან, ბრძოლას აწარმოებენ. ტარაშჩის რაიონში ჩვენმა ჯარებმა ბრძოლით აიღეს ტარაშჩის აღმოსავლეთით 40 ვერ. მდებარე სოფელთა წყება. ჩრდილო-დასავლეთით ჩვენი ნაწილები ამ რაიონში მტრის მიერ გამოყვანილ ახალ დამხმარე ძალების ცხარე კონტრ-შეტევებს იგერიებენ. ბრძოლები გრძელდება. ვაპნიარის რაიონში ჩვენმა ნაწილებმა მტრის კონტრ-შემოტევა შეაჩერეს.

### ჩიჩერინის პროტესტი

საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ჩიჩერინმა მიმართა ავსტრიის მთავრობას პროტესტით იმის გამო, რომ იგი პოლონეთში სისტემატიურად აგზავნის სამხედრო იარაღთა დიდძალ პატრონებს. საბჭოთა მთავრობა ავსტრიის მთავრობის ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას რომ ეს მოქმედებანი ბოლოს და ბოლოს აიძულებს მათ მიიღონ სათანადო ზომები, რომელნიც გავლენას მოახდენენ რუსეთსა და უკრაინაში მყოფ ავსტრიელ ოფიცრების ბედზე და შეაჩერებს სამხედრო ტყვეთა გაცვლა-გამოცვლას. ამასთანავე პროტესტით მიმართა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ჩიჩერინმა ჩეხო-სლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობას იმის გამო, რომ იგი ნებას აძლევს ავსტრიას, რომ მან სამხედრო მასალა გადმოიტანოს ჩეხო-სლოვაკიის რესპუბლიკის ტერიტორიაზე იმ დროს, როდესაც რუსეთსა და ჩეხო-სლოვაკიის მთავრობებს მიზნათ აქვთ მოლაპარაკება დაიწყონ სამხედრო ტყვეთა გაცვლა-გამოცვლის შესახებ. ჩეხო-სლოვაკიის მთავრობა ხელს უწყობს პოლონეთის თავდასხმას რუსეთსა და უკრაინაზე. ჩიჩერინს მოჰყავს პოლონეთის თეთრგვარდიელების მიერ უკრაინის მცხოვრებთადმი ველურად მოპყრობისა. მან ამგვარ მოქმედებათა გამო პროტესტით მიმართა ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის და ჩრდილო-ამერიკის შეერთებულ შტატების მთავრობებს.

### კომუნისტები დასავლეთის ფრონტზე.

დასავლეთის ფრონტიდან იუწყებიან: კომუნისტი წინამძღოლები და ნაწილების კომისრები იჩენენ გასაოცარ მამაცობასა. ბევრი თავდადებული რევოლიუციონერი დაეცა ბრძოლის ველზე.

### ოსმალეთში.

სტამბოლიდან მოსულ დეპეშების თანახმად გამოუქვეყნებიათ მოწოდება მაჰმადიანებისადმი, რომ საღვთო ომში მონაწილეობა მიიღონ. სტამბოლში ამოაჩინეს ოსმალ ნაციონალისტების შეთქმულება ევროპიელთა გაჟლეტის მიზნით.

### ლაპარაკი ალბათ ადერბეიჯანზე.

ც. ა. კ-ისა და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით თათართა ავტონომიურ საბჭოთა რესპუბლიკას სახელმწიფო მმართველობის აპარატი აქვს. ადგილობრივ დეპუტატთა, ც. ა. კ. და სახალხო კომისართა საბჭოთა კონსტიტუციის თანახმათ არსდება სახალხო კომისარიატები: ფოსტის, იუსტიციის, ჯანმრთელობის, მიწათმოქმედების, სურსათ-სანოვაგის, ფინანსების და სახალხო მეურნეობის შრომის განყოფილებებით. გზები და საგარეო ვაჭრობა ერთიანად რუსეთის რესპუბლიკის საბჭოთა ხელში იქნება. სამხედრო საქმეებს განაგებს თათრების სამხედრო კომისარი გაჯინსკი. შრომის ინსპექცია, მთლიანობის დაცვის მიზნით, პირდაპირ ემორჩილება რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის სათანადო სახალხო კომისარიატს. სხვა კომისარიატები ავტონომიურია. თათრების რესპუბლიკა ფინანსიურ და ტეხნიკურ საშუალებებს ღებულობს რუსეთის... საერთო საშუალებებიდან.

### მოწოდება ყოფილ აფიცრებისადმი.

მოწოდება ყველა ყოფილ აფიცრებისადმი სადაც არ უნდა იყვნენ ისინი. თავისუფალმა რუსმა ხალხმა გაანთავისუფლა ყველა ქვეშევრდომი ხალხი და ყველა მათგანს მისცა საშუალება თვითგამორკვევისა და თავის ცხოვრების მოწყობისა. რუსეთისა და უკრაინის ხალხი თავის ცხოვრებას აწყობს ისე, როგორც მას ურჩევნია და ჩვენ ყველა ვალდებული ვართ სინდისიერად დედა რუსეთის სასახელოდ, სასარგებლოდ და თავისუფლებისათვის ვიშრომოთ. განსაკუთრებით საჭიროა ეს ეხლანდელ დროში, როდესაც ჩვენმა მოძმე და ჩვენთვის ძვირფასმა პოლონეთის ხალხმა თვით ჩამოაგდო უცხოელთა მძიმე ბატონობა და ეხლა უეცრად ჩვენგან მიწების ჩამოგლეჯა მოინდომა. რა დროშითაც არ უნდა მოდიოდნენ პოლონელები რუსეთზე და ამ ომის რა ოფიციალური საბაბიც არ უნდა იყოს გამოცხადებული, მათი შემოტევის ნამდვილი და უმთავრესი მიზანია ჩაყლაპვა ლიტვისა და ბელორუსიის და ჩამოგლეჯა უკრაინის და ნოვოროსიის ნაწილებისა ნავთსადგურებით შავ ზღვაზე. ამ პოლიტიკურსა და ისტორიულ მომენტში (გამოტოვებულია) ჩვენ მივმართავთ თქვენს სიყვარულისა და თავდადების გრძნობებს და მოგიწოდებთ დაჟინებითი თხოვნით დაივიწყოთ ყოველგვარი შეურაცხყოფანი; ვისაც და როდესაც უნდა მიეყენებია იგი თქვენთვის და თქვენის სურვილით, თავდადებით წახვიდეთ წითელ ფრონტზე, ან იქ, სადაც თქვენ დაგინიშნავთ რუსეთის საბჭოთა მთავრობა და იმსახუროთ არა შიშის, არამედ—სინიდისის ქვეშ, რომ თქვენი ერთგული სამსახურით არ დაიშუროთ სიცოცხლე და დაიცვათ ჩვენთვის ძვირფასი რუსეთი, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი სამუდამოთ დაიღუპება და მაშინ ჩვენი შთამომავალნი სამართლიანად დაგვწყევლიან და ბრალს დაგვდებენ იმაში, რომ ჩვენ სავსებით არ ვისარგებლეთ ჩვენი სამხედრო ცოდნითა და გამოცდილებით, დავივიწყეთ ჩვენი რუსი ხალხი და ჩვენი დედა რუსეთი.

### ფრანგული ცნობები.

### კანონ-პროექტი მოხელეთა შესახებ.

მილიერანმა მიიღო რესპუბლიკანური სენატის კავშირის დელეგაცია დესელვის მეთაურობით. დელეგატებმა მადლობა გადაუხადეს მთავრობას იმ გადამჭრელ ნაბიჯებისათვის, რომელიც მთავრობამ უკანასკნელ ამბების დროს გადადგა, და სურვილი გამოსთქვეს გაიგონ მთავრობის აზრი მოხელეთა წესდების შესახებ. საბჭოს თავმჯდომარემ დელეგატებს განუცხადა, რომ მომავალ კვირაში ის პალატის ბიუროს წარუდგენს კანონ-პროექტს მოხელეთა წესდების შესახებ. კანონ-პროექტი თითქმის დასრულებულია. მილიერანმა კანონ-პრ. შესახებ სთქვა: კავშირთა უფლება მათ მიენიჭათ 1920 წლის 12 მარტის კანონის თანახმად, მაგრამ ეკრძალებათ იმ კავშირებთან ფედერაციებში შესვლა, რომელთაც ასეთივე პროფესიონალური ხასიათი არა აქვთ. მოხელეებს სინდიკალური უფლება არ ექნებათ.

ეს უფლებანი რჩებათ საზოგადოებრივ სამსახურის მუშებს. საბჭოს თავმჯდომარემ დაუმატა, რომ მოხელეთა სინდიკატები უქმდება და მთავრობა ყველაზე უწინ თითოეული მოხელის უფლებას განსაზღვრავს და ეს საკმარი იქნება იმისთვის, რომ კანონი და დისციპლინა მომავალში საზოგადო დაწესებულებებში დაცული და პატივცემული იყოსო. დელეგატები სრულიად კმაყოფილი დარჩნენ საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით.

### შაქრის წარმოება.

შაქრის წარმოების საყოველთაოდ ძლიერ შემცირებისა და ეროვნულ დაკმაყოფილებისათვის მისი საჭირო რაოდენობით უზრუნველყოფის გამო სასურსათო მინისტრის ამხანაგმა ტუმირმა დაიწყო შესწავლა საფრანგეთში მყოფ შაქრის მომარაგების რეკვიზიციის საკითხისა, მაგრამ იმ ოპერაციების გამო, რომელიც მან უნდა გააკეთოს, ტუმირი იძულებული შეიქნა ამ მიმართულებით მუშაობა შეეწყვიტა და ეხლა ამ საკითხის განხილვა ვაჭრობის სამინისტროს გადაეცა.

### საქონელზე ფასების დაწევა.

გაზეთები ინტერვიუს უკეთებენ სხვა და სხვა პირებს შეერთებულ შტატებში, ინგლისში და საფრანგეთში საქონელზე ფასების დაწევის შესახებ. „ჟურნალი“ ათავსებს განმარტებებს, რომელსაც სავაჭრო ბირჟის გენერალური სინდიკატის თავმჯდომარე სპეიერი იძლევა. აქ მთავარ როლს თამაშობს ბირჟის საკითხი. ნაქსოვი, ყავა და სხვა საჭირო საქონლის ფასი დაეცა 39 პროცენტით სტერლინგისა და დოლარის ფასის მოულოდნელი დაწევის გამო. სპეიერი ფიქრობს, რომ ამერიკული და ინგლისური ღირებულების დაცემა წარმოადგენს ნორმალურ კურსისკენ გარდამავალ ნაბიჯებს. დაბოლოს ცნობილია, რომ ჩვენ ფინანსიურ გაუმჯობესებას ვუცდით. იუწყებიან კარგი მოსავლის შესახებ, გატანა თანდათან კომერციულ სწორწონობაში შედის და ჩვენი მთავრობა უპირატესობას აძლევს გადასახადებს და არა სესხებს, რათა სახელმწიფო სესხის კონსოლიდაცია მოახდინოს. ეს თვალსაჩინო ფაქტორები რაციონალურ არსებობის აღსადგენათ. „პტი პარიზიენი“ გადმოგვცემს მეხორცეთა სინდიკატების თავმჯდომარე ლეკონტთან საუბარს ხორცეულობაზე ფასის დაწევის გავლენის შესახებ, რომელიც საგრძნობი შეიქნა განსაკუთრებით ამ უკანასკნელ ხანებში. ლეკონტმა განაცხადა, ფასები ოქტომბრისთვის საბოლოოდ დაწესდება და ამ ხნის განმავლობაში ფასები არ აიწევაო.

### სომხეთის მანდატი.

ვილსონი იუწყება: საგარეო საქმეთა სენატის კომისიამ უარყო ჩემი წინადადება სომხეთის მანდატის შესახებო.

### მდგომარეობა კილიკიაში.

გაზეთ „მატენის“ მიერ კონსტანტინოპოლიდან მიღებულ დეპეშების ცნობით იმ ენერგიული ზომების გამო, რომელიც გენერალურ სარდლობამ მიიღო კილიკიაში, მდგომარეობა უმჯობესდება. სამხედრო ნაწილი ადანიდან გამოვიდა იმ მიზნით, რომ ბეზანტი უკან დაიბრუნოს. 11—12 მაისს დააპატიმრეს 200 ცნობილი ოსმალო და მერზინში გაგზავნეს.

### საბჭოთა დელეგატი ლონდონში.

საბჭოთა დელეგატი კრასინი ლონდონში მივიდა. „დეილი ექსპრესის“ სიტყვით მას მიიღებს ლოიდ ჯორჯი.

### აზიის აჯანყების მოლოდინში.

„ეხო დე-პარი“ საბჭოთა მიერ ოსმალეთზე და აზიაზე დიპლომატიურ შეტევაში უყურებს აზიის მოულოდნელ აჯანყების სამზადისს ევროპის საწინააღმდეგოთ. საბჭოთა მთავრობასა და მუსტაფა-ქემალს შორის დამოკიდებულება რეგულიარული შეიქნა და არის მართალი ცნობები იმის შესახებ, რომ კონსტანტინოპოლის მთავრობას კავშირი აქვს ადერბეიჯანისა და მცირე აზიის აჯანყებულებთან. „დება“-ს ცნობით საბჭოთა მთავრობის ორი დელეგატი ტრაპეზუნდში მივიდა, რათა, მუსტაფა ქემალის პარტიზანებთან კავშირი შეკრან.

### სომხეთის დელეგაცია მოსკოვში.

„ტანი“ იუწყება: სომხეთის დელეგაცია მოსკოვში გაემგზავრება ბალშევიკებთან საბჭოთა რესპუბლიკის მიერ სომხეთის დამოუკიდებლობის აღიარების საფუძველზე მოსალაპარაკებლათ.

### ჩეხო- სლოვაკიის პრეზიდენტი.

მასარიკი ჩეხოსლოვაკთა რესპუბლიკის პრეზიდენტათ აირჩიეს.

### რკინის გზელთა შორის.

რკინის გზელთა ეროვნულმა ფედერაციამ მოწოდება გამოუშვა მუშაობის შეწყვეტის შესახებ.

### ავსტრია და საფრანგეთი.

ავსტრიის მთავრობის მიერ დანიშნული კომისია მაისის 30 პარიზში გაემგზავრა საფრანგეთისა და ავსტრიის კერძო ხასიათის საკითხების გამოსარკვევათ. ამ კომისიის თავმჯდომარეობა დაავალეს პარიზში მყოფ ავსტრიის წარმომადგენელს დ-რ ეიხოფს.

# ახალი ამბები

**ბაქოში წამსვლელთა საყურადღებოთ.** 1 ივნისიდან აღდგენილია მატარებლების მიმოსვლა თფილისიდან ბაქოში. მგზავრებს მოუხდებათ 12 ვერსის ფეხით გავლა, ბორანამდე და ამისთვის საჭიროა თან იქონიონ სურსათი და იმდენი ბარგი, რაც შეიძლება ხელით გადაიტანონ. თითო მატარებელზე მიიღება არა უმეტეს 200 კაცისა. ბაქოში წასასვლელ ნებართვას იძლევა გენერალ-გუბერნატორის კანცელარია 9—11 საათამდე.

**— თათრების აჯანყება განჯაში.** თფილისის პრესბიურომ სარწმუნო წყაროდან გაიგო, რომ განჯაში რუსის ბალშევიკებსა და ადერბეიჯანელთ შორის შეიარაღებული ბრძოლაა. მდგომარეობა გართულებულია.

**— მოსკოვიდან** თფილისს დაბრუნდა 30 მაისს საღამოთი გრ. ურატაძე.

**— სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენა 1919 და 1920 წ.წ.** დამფუძნებელ კრების საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ დაამთავრა სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენა 1919 და 1920 წ.წ. ხარჯთ-აღრიცხვა უკვე გადაეცა დამფუძნებელ კრების პრეზიდიუმს პლენუმისათვის მოსახსენებლად.

**— ნიხრი ელექტრონზე.** ქალაქის გამგეობამ 1 მაისიდან შემდეგი ახალი ნიხრი დააწესა ელექტრონის ძალაზე: 1) კერძო ბინების, სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებათათვის 20 მან. 30 კ. კილოუატ-საათი; 2) სავაჭრო გასართობ დაწესებულებათათვის 27 მ. და 50 კ. კილოუატ-საათი. უმრიცხველთ პირთათვის თვეში 16 შუქიან ლამპარზე 58 მ. და 45 კ., 25 შუქ. 91 მ. და 35 კაპ., 32 შუქ. 116 მ. და 90 კ., 50 შუქიანი 182 მ. და 70 კ., 100 შუქიანი 365 მ. და 40 კ., მეორეთათვის 16 შუქ. 79 მ. და 20 კ., 25 შუქ. 123 მ. 75 კ., 32 შუქ. 158 მ. და 40 კ., 50 შუქიანი 247 მ. და 50 კ., 100 შუქ. 495 მან. ქურების, ფარნების და სანათურების ნიხრი უმრიცხველოდ ორკეცდება.

**— დამფუძნებელი კრების წევრმა ერ. კალაძემ** შეიტანა იურიდიულ კომისიაში განცხადება, რომლითაც წინადადებას იძლევა ითავოს იურიდიულმა კომისიამ გამარტივება სამედიატორო სასამართლოს წესისა იმ მხრივ, რომ სამედიატორო ხელშეკრულობის შესრულების შესრულების უფლება სოფლად მიენიჭოს თემებს, რადგან ნოტარიუსთან წასვლა თხოულობს ბევრ დროს.

**— სომხეთის მისიამ** შემდეგი დეპეშა მიიღო ერევნიდან: 3 ივნისს სამხედრო სასამართლოში სახალხოდ გაირჩევა ერევანში მყოფ ადერბეიჯანის მისიის 3 ჩაფარის საქმე, რომელთაც ადერბეიჯანის დიპლომატ. წარმომადგენლისგან თემურ ბეკ-ბაკინსკისაგან 499,720 მან. ადერბეიჯანის ფულით, 117,050 ამიერკავკ. ფულით და 1100 მან. სომხური ჩეკებით და ზანგიბასარში სომხეთის წინააღმდეგ აჯანყებულთათვის მიჰქონდათ, მაგრამ ეჩმიაძინის სამაზრო მილიციამ შეიპყრო.

**— გალიდან** (სამურზაყანოს მაზრა) გენერალურ შტაბის უფროსმა შემდეგი დეპეშა მიიღო 26 მაისს იქ გამართულ მიტინგის თავმჯდომარისაგან: „საქართველოს სულის მდგმელ მამაც ჯარს და გვარდიას სამურზაყანოს მაზრის დემოკრატია, შეკრებილი საქართველოს დამოუკიდებლობის 2 წლის თავზე 26 მაისის სადღესასწაულოდ, გილოცავთ ბრწყინვალე დღეს ქართველი ერის აღდგენისა და აღორძინებისას. მას სწამს, რომ ჩვენი სახელოვანი ჯარი და გვარდია შესძლებენ გაუმკლავდნენ მტრებს, რომელნიც კალიასავით გარს მოედენ საქართველოს მშრომელ ხალხს და ლამობენ მის განადგურებას. მამაცო ჯარო და სახელოვანო გვარდიავ, მხნეთ და ერთგულად დაიცავით ჩვენი სამშობლო. ჩვენ კი არ მოგაკლებთ არაფერს. დაიცავით სამშობლო და გახსოვდეთ შოთას სიტყვები: „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“. მიტინგის თავმჯდომარე **ფიჩხაია**.

ამის საპასუხოდ გაიგზავნა შემდეგი დეპეშა: „რესპუბლიკის თავდაცვის საბჭოს მონდობილობით გიძღვნი დიდ მადლობას სალამისა და მოლოცვისათვის. გარწმუნებთ, რომ ჩვენი შეიარაღებული ძალები პირნათლად შეასრულებენ ჩვენი დიდი შოთას ანდერძს, მხოლოდ ერთი რამ უნდა მუდამ გვახსოვდეს ჩვენ ყველას: ფრონტის სიმაგრე ზურგის სიმაგრეზეა დამოკიდებული და გვწამს; რომ ჩვენი დემოკრატია ამას შეასრულებს ისე, როგორც ყოველთვის ასრულებდა. გენერალური შტაბის უფროსი გენ. **ზაქარიაძე**.

**— ქართული სამუსიკო საზოგადოება.** ქართულ სამუსიკო საზოგადოების ქუთაისის განყოფილების კლასების გამოცდებს საზოგადოების გამგეობის დავალებით დაესწრო კომპოზიტორი დ. არაყიშვილი. გამოცდებმა კარგი შთაბეჭდილება დასტოვა. არის ბევრი ნიჭიერი ბავშვი. საქმის წინ წასაწევათ საჭიროა დახმარება, როგორც საზოგადოების, ისე მთავრობის მხრივ.

**— ახალი წიგნები.** გამოვიდა და იყიდება საკუთარ წიგნის მაღაზიაში (რუსთაველის პროსპ. № 9) წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების შემდეგი გამოცემანი: 1) ახალი ტალღები—მოთხრობა ზოტივესი (აწერილია 1905 წ. რევოლიუცია), 2) ბნელო—მელანიას მოთხრობა. 3) როგორ ცხოვრობდენ ძველად ადამიანები,—დ. კუდრიავსკისა, თარგ. ის. კვიცარიძის. 4) ლექსები პაწია ბავშვთათვის—შ. მღვიმელისა. 5) საყმაწვილო მოთხრობები—ვაჟა-ფშაველასი.

**— მეშვიდე რაიონული კოლექტივი** საქ. სოც. დემ. მ. პ. იწვევს წევრთა საერთო კრებას ხუთშაბათს 3 ივნისს, საათის 4. ასარჩევია პარტიული ყრილობის დელეგატები.

**— სპეციალისტების მომზადება.** სასოფლო მეურნეობის სხვადასხვა დარგის სპეციალისტების მოსამზადებლათ მიწათმოქმედების სამინისტროს სასოფლო მეურნეობის განყოფილება იწვევს წლიურ და სეზონის პრაქტიკანტებს საცდელ და სხვა სასოფლო-სამეურნეო დაწესებულებებში სამუშაოდ. წლიურ პრაქტიკანტებად მოწვეული იქნებიან უმაღლეს აგრონომიულ და საბუნებისმეტყველო სწავლა დამთავრებულნი ან ამავ სასწავლებლების უკანასკნელ კურსის სტუდენტები ერთი წლის ვადით. სეზონის პრაქტიკანტებად უმაღლეს სასოფლო სამეურნეო სასწავლებელთა სტუდენტები საზაფხულო სეზონისათვის. დაწვრილებითი ცნობების მიღება და თხოვნების შეტანა შეიძლება მიწათ-მოქმედების სამინისტროს სასოფლო მეურნეობის განყოფილებაში (მთავრობის სახლი) ყოველ დღე შუადღის 12-დან 3 საათამდე.

**— სოფელ შორაპანში** (შორაპნის მაზრა) გაიხსნა ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება.

— პეტრე კანდელაკმა და ივანე ლ. ხატიევმა თითო თვით გაუწერეს ჩვენი გაზეთი ჯარისკაცებს ფრონტზე. პირველმა ერთი ცალი და მეორემ ორი ცალი.

**— დუშეთის მაზრის ადმინისტრაციის და მილიციის ინსტრუქტორი** თომა ჩიქვანია ბოროტ-მოქმედებისათვის სამსახურიდან დათხოვნილ-დატუსაღებული და პასუხისგებაში იქნა მიცემული, აგრეთვე ბოროტმოქმედებისათვის დათხოვნილ იქნა სამსახურიდან ქსნის რაიონის მილიციის უფროსი ილიკო ბედოშვილი.

**— ქალაქის გამგეობამ** სანიტარულის მოსაზრებით აკრძალა ქუჩებში ფეხზე მოვაჭრეთა მიერ სხვადასხვა ტკბილეულების და ცივი წყლის გაყიდვა.

**— დედათა და ბავშვთა** მზურნველობის საზოგადოება 6 ივნისს ალექსანდრეს ბაღში გამართავს დიდ სეირნობას ლატარია-ალეგრით, რომლის მთელი შემოსავალი მოხმარდება ფრონტზე დაღუპულ გვარდიელთა და ჯარის-კაცთა ობლებს.

**— სისხლის სამართლის მილიციამ** 28 მაისს შეიპყრო ნაფიც ვექილის თანაშემწე ამაზასპ ამბარცუმიანცი, რომელსაც ბრალდება სხვისი სახელით ხელის მოწერა 800,090 მანეთზე.

**— სახალხო სახლი.** დღეს, საღამოს სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წრიმ. მმართველი წრის მიერ წარმოდგენილი იქნება: „სიძე სიმამრი“. და „ქუჩისა მჭირს“. დასაწყისი საღამოს 8 ს. ადგილების ფასი სახალხოა.

**— პირველ მაისობის** მომწყობი კომისია სთხოვს იმ პირთ, ვისაც არა აქვთ ჩაბარებული ყულაბები, დაუყონებლივ ჩააბარონ მუშათა სასახლეში სეკრეტარიატის ბინაზე.

### კრებები

დღეს, საღამოს 6 ს. მუშათა სასახლეში დანიშნულია საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალურ საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის მორიგი სხდომა.

—. დღეს, საღ. 5 ს. მეოთხე რაიონ. კოლექტ. ბინაზე შესდგება მეოთხე რაიონის საქ. ს. დ. მ. პ. ქალთა ორგანიზაციის საზოგადო კრება.

### პროვინციის ქრონიკა.

**ახალ-სენაკი.** კვირას, 6 ივნისს, დილის 10 ს., ადგილობრივი უმაღლესი დაწყებითი სასწავლებლის შენობაში დანიშნულია ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების სენაკის განყოფილების წევრთა წლიური საზოგადო მორიგი კრება. გამგეობა სთხოვს საზოგადოების წევრთ დაესწრონ კრებას. თუ ამ დღეს წევრთა საკმაო რიცხვი არ დაესწრო, მეორე კრება მოხდება შემდეგ კვირას, 13 ივნისს, და წესდების ძალით კანონიერი იქნება რამდენიც არ უნდა დაესწროს.

# სეტყვა კახეთში

**სიღნაღი.** საშინელმა და მოულოდნელმა სეტყვამ და ნიაღვარმა მთლად წალეკა ქიზიყის სოფლების—კარდენახის, ანაგის, ვაქირის, მარნარის, საქობოს, ასანაურის, ხირსის, ქვემო მაჩხაანის, დედოფლის წყაროს, ბოდბის ხევის ვენახები და მინდვრები. არის ადამიანთა და საქონელთა მსხვერპლი. ზარალი რამოდენიმე მილიონისაა.

**ნაფარეული.** 25 მაისს, საღამოს 7 ს. გამოჩნდა დასავლეთიდან გულ შემზარავი შავი ღრუბლები, რომელიც გადაეფარა ს. ნაფარეულს, სანიორეს, ართანას, ფშაველს და სხვა სოფლებს.

დაიწყო ქათმის კვერცხის ოდენა სეტყვა და გასტანა ორ საათ ნახევარს. ასტყდა სოფელში საშინელი გულ-შემზარავი წივილ-კივილი, რასაც შეუერთდა პირუტყვთა ბღავილი, ძაღლების ყეფა და ღმუილი, თოფებისა და სახელმწიფო მამულის ზარბაზნების სროლა, მაგრამ შველა არ იქნა. ბუნებამ თვისი აღასრულა; მოჰყვა ნიაღვარი, ჩავარდა გომურებსა და სახლებში, საიდანაც მცხოვრებნი გარეთ გამორბოდნენ და იძახოდნენ: გვიშველეთ, წარღვნა მოვიდა და ვიხრჩობითო, მაგრამ მშველელი არვინ იყო, რადგანაც ყველას შიშის თავზარი ჰქონდა დაცემული და თავიანთი თავისთვისაც ვერა ეშველნათ. დაიღუპა გომურებში დამწყვდეული საქონელი და მრავალი შინაური ფრინველი. ბევრი გომურები სავსეა სეტყვის ზვინებით. ნაფარეულში, მთელი ღამე გაისმოდა ხალხის ტირილი და მწუხარება. როდესაც გათენდა 26 მაისი, ხალხი მინდორს მოედო ყანების სანახავათ, მაგრამ ტირილით უკან ბრუნდებოდა, მოესპო მიწის მუშას თვისი დიდება და სიამაყე, განადგურდა ყოველისფერი, როგორც ყანები, აგრეთვე ყოველ გვარი მცენარეულობა, თავზარდამცემ სურათს წარმოადგენს ვენახები და ხეხილი.

ხალხი იძულებული ხდება დახნან მეორეთ და დათესონ სიმინდი, მაგრამ, საუბედუროთ, უმრავლესობას სათესლე სიმინდიც არ მოეპოება. ნაფარეულის თემში არის 20 კოდამდის ღალების სიმინდი, რომლითაც აზრათ აქვთ ხელი მოინაცვლონ და დათესონ სესხით, მაგრამ ეს ისეა, როგორც ზღვაში წვეთი; საჭიროა დახმარება სათესლე სიმინდით; საზრუნველია აგრეთვე საქონლისათვის საზამთრო საკვები, სათესლე პური, ქერი და სხვა.

საჭიროა საჩქაროთ დახმარება.

**დ. არავიაშვილი.**

# ტანჯულ პოეტის საფლავთან

(ნ. ჩხიკვაძეს)

სამწუხარო ცნობა მივიღე.

ცხოვრების ტალღებს მოშორდ[illegible] მისი მესაიდუმლე.

ნოე აღარაა, მან დაასრულა თავ[illegible] ხანმოკლე სიცოცხლის ჟამი ამ სო[illegible]

იგი გმირი იყო, შეუბრ[illegible] ლილი, წინამავალი[illegible]

ლი იყო. ბრძოლა და მღელვარება, ქუჩა და სიცოცხლე—მასში იყო განსახიერებული.

თავისი გენია, კვნესა და სიმღერა, მსოფლიო მოტივებით სავსე ბრძოლის გოდება თან წაიღო მყუდრო ბინაში.

იგი მოვიდა, დროებით დაჰყო ამ საწუთროში და ვერ დაამთავრა თავისი ტანჯული მგზავრობა, თანამედროვე სიმღერა რევოლიუციისა.

უდროვო და საშინელია მისი სიკვდილი.

იგი ცხოვრებისაგან დასჯილი მოიგონებდა სიკვდილის წუთებში პოეტის სევდიან სიტყვებს:

„ჰე, მწირო, სოფლად ყოველსა აქვს ჟამი და ბოლო;
მაგრამ ამას ვწუხ, რომ უჟამოთ მელება ბოლო!“*)

მას ყველა იცნობდა და არავინ.

მისი გაცნობა ძნელი იყო.

აბა ვინ შეისწავლიდა მას?

მისი შეხვედრა კიდეც გაგახარებდა, კიდეც დაგაფიქრებდა.

იგი თანამედროვე ცხოვრების ამაყი შვილი იყო, ამაყი სულით. ძნელია იმისი დაფასება დღეს. მისი კალამი, მის განცდას, მის მღელვარებას, გამოხატავდა.

არაჩვეულებრივი იყო მასთან ყოფნა, მისი სიტყვების მოსმენა. მისი ფიქრების, ზრახვების გაზიარება.

იგი განსაკუთრებული პოეტი იყო... ვერ ურიგდებოდა ცხოვრების მსვლელობას. მას უსწრებდა. მიიჩქაროდა. წინ მიჰქროდა.

მისთვის ცხოვრების საზღვარი ვიწრო იყო. მას არ ყოფნიდა ბუნების თავშესაფარი.

იგი ბობოქრობდა, როგორც კუმი ოკეანესი... იგი ხალხში იყო, მუშებთან თამაშობდა; ზღვას, ბუნების საიდუმლოებას დასტრიალებდა...

იგი ცხოვრების მებრძოლი შვილი იყო...

და განა მოთავსდება მისი დაუღალავი არსება ვიწრო კუბოში?.. ცივს სამარეში?..

იგი მოიგონებს, რომ მას არ ყოფნიდა თავის „რაშისათვის“ მსოფლიოს სივრცე და დაღონებული იტყვის; „აბა, ღმერთო, რად მიბოძე მე ეს ბინა—შესაფერი—ამ ერთგულში მეუფე, ყველაფერი ერთად არი. **) მისი თავშესაფარი ამიერიდან ვიწრო ბინაა... იქ უნდა დარჩეს დიდი საიდუმლოების ნიჭი დამარხული...

იქ, ვიწრო სამარეში სიკვდილის მიერ ხუნდებ დაყრილი უდროვოთ დალუპული აზრი, ცხოვრების ძლიერი ნება, პოეტური შემოქმედება, ნერვები სიცოცხლის მღელვარე ზვირთებისა, სიხალისე და გატაცება მომავალისა. იქ... იქ უნდა იყოს სიკვდილის ეულ მდუმარებით მოცული, გაყინული...

„И вотъ твой мiръ!
„И вотъ твой свѣтъ***)!..

***) გოეტე.

იგი პოეტი, მებრძოლი პოეტი იყო... ის ცხოვრობდა მშრომელ ხალხში...

მშრომელი ხალხი მისი კერპი იყო, ბრძოლა და რევოლიუცია, მისი ბუნება, მისი მოთხოვნილება იყო.

ხალხთა თანასწორობა და განთავისუფლება კი მისი მიზანი.

მისი ცოცხალი საქმიანობა იმედით სავსე იყო, მისი სიმღერა მომავალის მახარობელი...

იგი სხვა დროს გამოჩნდა ცხოვრების გულში. იგი სხვა დროს მოევლინა ხალხს თავისი ნუგეშით.

მისი სიმღერა იმ დროს გაისმა ჩვენს ქვეყანაში, როცა აზრი დატყვევებული იყო, ხალხი საბედისწერო ბრძოლაში დამარცხებული და ქვეყანათ ხანმოკლე მზიან დღეებისშემდეგ სიბნელე ჩამომდგარიყო.

ეს იყო რეაქციის საშინელი დრო. ეს იყო ის ხანა, როცა რუსეთის მხატვრულ ლიტერატურაში უიმედობა ჩამოვარდა, კრიზისი დაიწყო; როცა პოლიტიკურმა რეაქციამ გამოიწვია რეაქცია ფსიხოლოგიური და განცდაში ჩავარდნილი ინტელიგენცია გაჰყვა სანინიზმს,—ეროტიზმს...

როცა გამეფდა სასოწარკვეთილება, პესიმიზმი, მოთქმა და გარყვნილება პოეზიაში..:

იგი სწორეთ ამ დროს გამოჩნდა ჩვენში თავისი გატაცებული მოძრაობით, იმედით, ბრძოლით და სიმღერით...

მან სხვა ახალგაზრდა პოეტებთან ერთად ხალხის გულში შეიტანა ხელმეორეთ გამოღვიძების იმედი... ხალისიანი სიმღერა.

იგი იმ დროს მარტო კალმით მოსაქმე არ იყო. ხალხთან იყო, ხალხთან იტანჯებოდა, ხალხთან ერთად იბრძოდა მშრომელთა დასახსნელად.

მისი ველი იყო, ხალხის გული, ცხოვრების ზღვა.

მისი ხრიოკი გატანჯული ცხოვრება ხალხის კვნესაში ჰპოულობდა გმირულ სახიერებას.

მახსოვს პირველად მე ის ვნახე ქუთაისში 1910 წელს...

ახალი ფიქრებით, ახალი ზრებით... მას დიდხანს არ დაუცდია, მიიჩქაროდა და ამხანაგებს გვითხრა: „ნუ გეშინიათ, ისე გადავაჯირგალებთ ამ დახლართულ გზებს, რომ ვერავინ გაგვაჩერებსო“...

იგი უბედური იყო თავის თავის... ყველაფერი უყვარდა, მხოლოდ თავის თავი კი არა...

თავის პირად ცხოვრებას ყურადღებას არ აქცევდა, სტანჯავდა თავს,, თავის სიცოცხლეზე და ბედნიერებაზე სრულიად არ ფიქრობდა...

შეიძლება ეს იყო შედეგი მისი სიღარიბისა, გაჭირვებისა, პირადი ცხოვრების უიმედობისა...

ჩვენში ხომ ეკლით არის მოფენილი მწერალთა საველი გზა?!.

ჩვენში ხომ ტრაგიკულია მწერალთა ცხოვრების დასაწყისი და დასასრული?!.

სიცოცხლეში არავინ აქცევს ყურადღებას. არც შესაფერი თანაგრძნობით ეკიდებიან... სიკვდილის შემდეგ კი სტირიან...

ამ მოვლენას დიდი ხანია შევეჩვიეთ. აშკარათ შეიძლება ითქვას, რომ მისი უდროვო სიკვდილი, შედეგი იყო, მისი არანორმალური ცხოვრებისა.

დაიბადა სიღარიბეში... გაიარა გზა ტანჯვით და ბრძოლით და უმადური დასტოვა წუთი სოფელი...

ბევრი რამეს გაკეთება შეეძლო მის ენერგიას...

ბევრი რამეს დაწერა შეეძლო მის კალამს და ძვირფასი განძის დატოვება მომავალ თაობისათვის მისი ნიჭის შემოქმედებას...

მაგრამ მისმა ვარსკვლავმა დაიშავბნელა... მის მომავლის ზრახვას, მის გატაცებას და გეგმებს სამგლოვიარო დაღი დაესვა... მისი თაიგული ცხოვრების სიყვარულისა ობოლი ცრემლით დაითრთვილა...

ამიერიდან ის აქ აღარ არის... ვერ ვნახავთ მის მრისხანე სახეს... ვერ მოვისმენთ მის გიჟურ ამოძახილს... სიცილს, გატაცებას, ყიჟინს, ქეიფს.

მისი სიყვარულის ყვავილები საშინლათ ჩამომძრალა.

— „მინდა ამ ზაფხულში დავიარო მესხეთ-ჯავახეთი, ვნახო მტკვარის ხეობა, შოთას სამშობლო, ძველი საქართველო. შემდეგ გურია, სათავე ნერვიანობისა, რომ მერმე ჩემი გიჟური ხარხარით დავსწერო ცხოვრების თანამედროვე ლეგენდაო“.—გვითხრა ამხანაგებს დაბეჯითებით ამ ორმოცი დღის წინეთ.

ზაფხულს მან აღარ დაუცადა... ზაფხული მოდის ჩვეულებრივი სიხარულით ამწვანებული...

და... იგი დაღონებული, გულზე ხელდაკრეფილი განისვენებს.

ველარ იხილა ზაფხული. და აღარ ესმის მესხეთის მთებში მტკვარის ბუტბუტი. მისი ფიქრები ოცნებათ იქცა. ვერ მოასწრო ყველაფერის თქმა.

რა ცუდია დრო და ჟამი!..

რა უცნაურია ეს სოფელი... რა წარმათია ცხოვრების უკულმართობა!..

მშვიდობით ძმაო!..

ამიერიდან თქვენი მოგონება ჩემთვის ტანჯვა იქნება, რადგანაც თქვენ მე გამიზიარეთ ის, რასაც ფიქრობდით...

და არ ასრულდა...

მე კი ამიერიდან ვიცი:

„ხოლო მე ხშული ბნელსა სადგურს და სევდიანსა,
ველარ ვიხილავ ჩემს მღელვარეს და ტკბილს მგოსანსა! *)

29 მაისი. ახალციხე.

**ანანია**

---

*) ბარათაშვილი.

**) გრიშაშვილი.

*) ბარათაშვილი.

---

## ნოე ჩხიკვაძის დაკრძალვა

მიუხედავად ცუდი ამინდისა, 30 მაისს ქაშუეთის ეკლესიის გალავანში ხალხით აივსო.

მრავალი პატივისმცემელთაგანი პოეტის ცხედარს ვარდ-ყვავილებით ამკობდა.

იყვნენ მთავრობის წევრები, დამფ. კრების წევრები, ქალაქის მოურავი და თფილისში მცხოვრები თითქმის ყველა მწერლები.

ცხედარი გამოასვენეს პოეტებმა ეკლესიის გალავანში, აქ სიტყვა წარმოსთქვა საქართველოს მწერალთა კავშირის სახელით აკაკი პაპავამ, სიტყვის დასრულების შემდეგ სამხედრო ორკესტრმა შეასრულა სამგლოვიარო ჰიმნი.

აქედან ცხედარი წასვენებულ იქნა რუსთაველის პროსპექტით სასაფლაოსაკენ.

მიასვენებდენ პოეტები. ცხედარს წინ უძღოდა მხოლოდ ერთი დაფნის გვირგვინი მწერალთა კავშირისა.

გზადაგზა ვარდ-ყვავილებით ხელში პროცესიას უერთდებოდა ხალხი.

დიდუბის ეკლესიის გალავანშიც დაგვხვდა საზოგადოება. აქ ცხედარი მივასვენეთ დღის ორ ნახევარ საათზე.

აქ უკანასკნელი გამოსამშვიდებელი სიტყვა წარმოსთქვა: „ერთობის“ რედაქციის სახელით ლევან ნათაძემ, „თეატრი და ცხოვრების“ რედაქტორმა იოსებ იმედაშვილმა, ი. ირემაშვილმა, პოეტებმა გიორგი ქუჩიშვილმა და პაოლო იაშვილმა. საკუთარი ლექსი წაუკითხა აგრეთვე ერთმა მუშამ.

### სამგლოვიარო დეპეშები და წერილები.

დიდი ჯიხაიშის პარტიული ამხანაგები ღრმეს მწუხარებას გამოსთქვამენ დაუღალავ მებრძოლის მაშვრალთა მგოსნის ნოე ჩხიკვაძის უდროოდ დაკარგვის გამო.

**კოლექტივი.**

ლანჩხუთის ამხანაგები ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ მუშათა საუკეთესო მაღლერებელ მგოსან ნოე ჩხიკვაძეს უდროვოდ დაკარგვის გამო.

**დავალებით ჩხაიძე.**

ბათომის ნაპირის ქართველი მუშები გამოსთქვამენ ღრმა მწუხარებას მუშათა კლასის მებაირახტრის და მესაიდუმლის ნიჭიერ მგოსნის ნოე ჩხიკვაძის გარდაცვალების გამო.

**ამხ. მონდობ. ი. შარაშიძე**

სამტრედიის რკინის გზის პროფესიონალური კავშირი გლოვობს უდროვოდ დაკარგულ მგოსან ნოე ჩხიკვაძეს.

ონი. მამისონზე მყოფი გვარდიელები ღრმად დაამწუხრა ძვირფასი ამხანაგის და ქართულ პოეზიის დამამშვენებელი ნოე ჩხიკვაძის უდროოდ გარდაცვალებამ.

წიქორიძე, სირაძე, ვაჩეიშვილი, კენჭიშვილი, ბერძენიშვილი, ბრეგაძე, დოლიძე, ჯანელიძე, კაჭკაჭიშვილი, კობაძე, ავალიანი.

მარანი. გულის მწუხარებით უერთდებით საერთო გლოვას ამხანაგ ნოე ჩხიკვაძის უდროოდ გარდაცვალების გამო მარანის საზოგადოების სოციალ-დემოკრატიული კოლექტივის დავალებით

**ვლადიმერ ჩხიკვაძე.**

სამტრედიის რკინის გზის პროფესიონალური კავშირი გლოვობს უდროვოდ დაკარგულ მგოსან ნოე ჩხიკვაძეს.

## მიწის ძვრის. დაზ. დამხმარე კომიტეტი შვეიცარიაში

დეპუტატ ჩხენკელს ქართულ პრესბიუროსაგან ბერნიდან მოსვლია ცნობა, რომ შვეიცარიაში გორის და მის ახლომახლო სოფლების მიწის ძვრისაგან დაქცევას დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია ხალხზე. თითქმის არ დარჩენილა არც ერთი გაზეთი, რომელსაც ცალკე წერილი არ ეძღვნას ამ მოვლენისათვის. დაზარალებულთა ხვედრით დაინტერესებულა საერთაშორისო წითელი ჯვრის საზოგადოება აგრეთვე ის საზოგადოებაც, რომელიც ამას წინათ დაარსდა ქ. ჟენევაში რუსეთისგან გამოყოფილ ერთა დასაცავათ.

ქ. ჟენევაში დაარსდა განსაკუთრებული კომიტეტიც, რომელიც აგროვებს შემოწირულებას დაზარალებულთათვის. ამ კომიტეტს მოწოდებით მიუმართავს ყველასათვის, იგი გამოქვეყნებულია გაზეთებში და სამსავე ენაზე (ფრანგულ გერმანულ და იტალიანურ). ჩვენ მოგვყავს სიტყვა სიტყვით ეს მოწოდება, რომ ამით დავანახოთ მკითხველებს, თუ რა ძლიერი თანაგრძნობა მოუპოვებია ქართველ ერს უძველეს დემოკრატიულ სახელმწიფოში, როგორიც არის შვეიცარია.

აი ეს მოწოდებაც:

„ამ რამოდენიმე დღის წინათ გაზეთებში მოთავსებული იყო ცნობა საშინელ მიწის ძვრის შესახებ, რომელმაც გაანადგურა მოზრდილი ქალაქი ახალგაზრდა და სახელოვან საქართველოს რესპუბლიკისა,—ქალაქი გორი, რომელშიაც 20 ათასამდე მცხოვრები ითვლებოდა.

კატასტროფა ქალაქის ირგვლივ მდებარე რაიონებშიაც გავრცელდა: მისი მსხვერპლი გახდა 50 ახლო-მახლო მდებარე სოფლები, რომლებისგანაც ისე, როგორც ქალაქიდან, მხოლოდ ნანგრევები-ღა დარჩა. ამ ნანგრევებ ქვეშ დამარხულია ასობით ადამიანთა გვამები და რამოდენიმე ათეულ ათას მცხოვრებთა ქონება. ცოცხლათ დარჩენილ მცხოვრებთა უმრავლესობა უკიდურესათ გაჭირვებულ მდგომარეობას განიცდის.

ჟენევაში მოეწყო კომიტეტი, რომელსაც მიზნათ აქვს დასახული დახმარება გაუწიოს ამ თავშესაფარსა და საზრდოს მოკლებულ უბედურებს.

ჩვენ გვეტყვიან: ბოლო არ უჩანს დახმარებისადმი მოწოდებებს, მაგრამ ვუპასუხებთ: არა აქვს ბოლო უბედურებებსაც! და მიუხედავათ ყველაფერისა, რაც გაუკეთებია და რასაც გააკეთებს ჟენევა,—იგი ყოველთვის დარჩება ისე, როგორც მთელი შვეიცარია, პრივილეგიურ ქვეყანათ, რომელსაც კისერზე აწევს კეთილშობილური მოვალეობა თავის ქონებიდან გადასდოს ნაწილი იმათ სასარგებლოთ, ვისაც არაფერი აქვს.

ამიტომ კომიტეტი,—დარწმუნებული, რომ თანაგრძნობას შეხვდება, აქვეყნებს ამ მოწოდებას და იმედოვნებს, რომ მცხოვრებნი გაიღებენ თავიანთ წვლილს ფულით, ნივთებით და მედიკამენტებით ამ ახალ მსხვერპლთა სასარგებლოთ, რომლებმაც კატასტროფამდეც ბევრი განსაცდელი გამოიარეს.

შემოწირულებები მიიღება დიდის მადლობით მდივანთან—ქ-ნ სეკრეტანთან, ბულვარი დე-ტრანშე, 10.

მიღებული შემოწირულებანი გადიგზავნება დანიშნულებისამებრ წითელ ჯვრის საზოგადოებათა ლიგის საშუალებით.

კომიტეტის სახელით: ქქ. ალისა ფავრი, სეკრეტანი, დიუნანი; ბბ. ჰორაციო დე-სოსიური, ექ. დიუნანი.

## უცხოეთი

### სომხეთი.

### სარიყამიშ-ნოვო ბაიაზეთის ამბები

ალექსანდროპოლის ამბებმა შესაფერი გავლენა იქონია სარიყამიშზედაც. აგიტატორების გავლენით ჯარისკაცები ორ ნაწილათ გაიყო: უმრავლესობა მომხრე იყო სომხეთის მთავრობისა; უმცირესობამ დააარსა „რევკომი“ და მოლაპარაკება გამართა ოსმალებთან. როდესაც ქალაქში ამბავი მოვიდა, რომ ალექსანდროპოლში გამოსვლა დამარცხებულია,—უმაყოფილო ნაწილმა მიმართა სამხედრო მმართველობას თხოვნით, რათა უკანასკნელს ეპატიებია მისთვის. სამხედრო უწყებამ მოითხოვა უსიტყვოთ დამორჩილება, რის გამო ხელმძღვანელები დაფრთხენ და გაიქცენ, ხოლო ჯარისკაცები სიხარულით შეუერთდენ მთავრობის ჯარს.

ნოვო-ბაიაზეთის რაიონში აჯანყება 13 მაისს დაიწყო. დიდი მღელვარებისა და დემაგოგიურ მოქმედების შემდეგ აჯანყებულებმა შესძლეს 17 მაისს შესულიყვენ ქ. ნოვო-ბაიაზეთში. 19 მაისს მთავრობის ჯარმა აჯანყება ჩააქრო. ქალაქში წესრიგი დამყარდა. შეტაკების დროს აჯანყებულებისგან დაიჭრა 3, მოკვდა 2 კაცი; მთავრობის ჯარიდან — დაიჭრა 2, მოკვდა 1. ერთ-ერთ ხელმძღვანელთაგანმა სარუხანიანმა გაიტაცა ხაზინიდან 1 ნახ. მილ. მან. და უნდოდა გაქცევა, მაგრამ დაატყვევეს, რომელსაც ნახევარი ფული თან აღმოაჩნდა. აჯანყებულებმა გაძარცვეს საწყობები, ამ ჟამათ ქალაქში სრული წესრიგია. მცხოვრებლები შეუდგენ მიწების დამუშავებას.

### დილიჟან-იჯევანის ამბების გარშემო.

სომხეთის დეპეშათა სააგენტო მთავრობის შემდეგ ცნობას აქვეყნებს: 22 მაისს დელიჟანიდან უზუნტალ-იჯევანის რაიონებში გაემგზავრენ მზვერავები იმის გამოსარკვევათ,—არიან იქ მტრის ნაწილები თუ არა. აღნიშნულ რაიონში ადერბეიჯანის ჯარები არ აღმოჩნდნენ; ჯარები უკან წასულან და თითქოს განუცხადებიათ: ჩვენ მოგვატყუელს—გვითხრეს, რომ სომხეთ საბჭოთა მთავრობა ჰსურსო; მაგრამ რა წამს დავრწმუნდით ამ რწმუნების სიცრუეში,—ჩვენ მცხოვრებთ არ ვერჩით და უკანვე მივდივართო. იჯევანის რაიონში შემოსული ჯარი, რიცხვით 300-მდე კაცი, შედგებოდა ყაზახ-დენიკინელებისაგან, რომლებიც ეხლა ადერბეიჯანის სამსახურში გადავიდენ და იგზავნებიან სომხებისა და ქართველების წინააღმდეგ. ამბოხების ხელმძღვანელები გაიქცენ დილიჟანიდან სომხეთის ჯარების შესვლამდე. მცხოვრებლები გადაჰრით წინააღმდეგნი იყვენ მეამბოხეებისა და კიდეც დაიჭირეს ზოგიერთი მათგანი. 24 მაისს მთავრობის ჯარები იჯევანამდე მივიდენ. აჯანყების ხელმძღვანელები გაიქცენ. ძალა-უფლება ადგილობრივ თვითმართველობის ხელში გადავიდა. დროებითი კომისარი მანასიანი, გენ. ბაღდასარიანი, ნერსეს ჯაგეტოიანი და მესროპ სარატიკიანი თან წაუყვანიათ ბანდებს ჯერ ყაზახში და შემდეგ, როგორც ხმები დადის, გაუგზავნიათ ბაქოში.

### რუსეთი

### საბჭოთა რუსეთში

სოხუმის „ნაშე სლოვოში“ მოთავსებულია საბჭოთა რუსეთიდან ჩამოსულის ნაამბობი.

ფინანსიური მდგომარეობა არეულია. არც ხარჯთ-აღრიცხვაა. ბიუჯეტს მხოლოდ წლის ბოლოს ადგენენ. ფულისთასი თანდათან ეცემა. უკანასკნელათ გამოუშვეს ქაღალდის ფული, რომელზედაც შემდეგი წარწერა იყო: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ წარწერა ექვს ენაზეა, მათ შორის ჩინურზე და ოსმალურზე. ლენინმა ამ ფულებს „ჭრელი ქაღალდები“ უწოდა. ნიკოლოზის ფული 15-ჯერ მეტი ღირს საბჭოთა ფულებთან შედარებით, კერენკები—5-ჯერ. პროფესიონალური ორგანიზაციები მთავრობის აღმასრულებელ ორგანოების როლს ასრულებენ. პროფესიონალურ მოძრაობის სათავეში ა. ლოზოვსკი სდგას (ყოფილი მენშევიკი ინტერნაციონალისტი). მუშების მაქსიმალური ხელფასია—4.800 მ., საშუალო—3500 მან., უმთავრეს ნაწილათ მუშებს ნაწარმოებით უსწორდებიან; ხშირია შემთხვევა, რომ მუშებს მხოლოდ კამფეტებს და დუხებს აძლევენ. ასეთ შემთხვევაში მუშები იძულებულნი ხდებიან სპეკულაციას მოჰკიდონ ხელი და ლუკმა პური იშოვონ. ინტელიგენტურ ძალების დიდი ნაკლებობაა. ბევრი ინტელიგენტი იდევნება, როგორც „ბურჟუა“ და ხშირია შემთხვევები, როცა ისინი შიმშილით კვდებიან. მთავარი წიგნის გამომცემლობა პეტროგრადშია მოთავსებული, რომელსაც მ. გორკი ხელმძღვანელობს. მოსკოვში წიგნები თითქმის არ მოიპოვება; გამოდის მხოლოდ პატარა ბროშიურები. გამოცემებში დიდ ყურადღებას იქცევს მ. გორკის მოგონებანი ლ. ტოლსტოიზე. პოეტებში პოპულიარობით სარგებლობენ ვ. მაიკოვსკი და დემიან ბედნი. ბრიუსოვი და ბალმონტი საბჭოთა სამსახურში არიან. ჟურნალისტებში ყველაზე უფრო ნიჭიერად კ. რადეკი ითვლება, რომელიც „იზვესტიაში“ თანამშრომლობს. რუსეთში შემოღებულია მთლიანი სკოლის სისტემა. სწავლა უფასოა. პროგრამა არავითარი არ არსებობს. ერთხელ გამოიცა განკარგულება ისარგებლონ ძველი პროგრამით, ვინაიდან ახალი არ არის დამუშავებული. მასწავლებელთა მდგომარეობა აუტანელია; საშუალოთ ისინი 3000 მან. მიიღებენ. მოსკოვის უნივერსიტეტში 20,000-მდე სტუდენტი ითვლება; უმრავლესობა სამხედრო სამსახურშია გაყვანილი. ლექციებზე მხოლოდ 2—3 მსმენელი ესწრება. არავითარი სამეცნიერო ჟურნალი მოსკოვში არ გამოდის.

### გერმანია.

### გერმანელი ბავშვების უნუგეშო მდგომარეობა.

ბერნში შესდგა გაჭირვებულ ბავშვთა მზრუნველი ინტერნაციონალური შეერთებული კავშირის კონფერენცია. ერთ მოხსენებაში, რომელიც შედგენილია ფრანგულ ენაზე, ვკითხულობთ: ცოტა გამოკლებით, გერმანიის ქალაქებში ბავშვთა ცხოვრება აუტანელ მდგომარეობაშია. საშუალო წონა ათი წლის ბავშვისა უდრის დაახლოვებით 27 კილოს, 14 წლის—39-ს, 13 წლის ქალის 35 კილოს, ექიმმა შვეიცერმა, რომელმაც ინახულა გერმანია, საერთოდ ლეიპციგის 217 სასწავლებელში აღმოაჩინა 36 პროც. ავათმყოფი ბავშვები. დანარჩენ 308 მოსწავლეში 151 ავათმყოფი ბავშვი (51 პროც.). ყველაზე უფრო მძვინვარე ავათმყოფობა არის ტუბერკულოზი. ლეიპციგში მან ინახულა 8,000 ავათმყოფი, კიოლნში დაახლოვებით—10,000, ბერლინში—30,000, ჩვილი ბავშვების სიკვდილი უდრის 25 პროცენტით მეტს, ვიდრე წინათ, მოზრდილი ბავშვები კვდება კიდევ უფრო მეტი. ბერლინში 115 საზოგადო სკოლიდან 650 ბავშვში 305 არა აქვს რიგიანი დასაძინებელი ბინა., 370 არა აქვს გამთბარი სახლი., 341 არც ერთი წვეთი რძე. რიცხვი ტუბერკულიოზისა და სიმშილით გამოწვეულ სიკვდილისა აღემატება ერთ მილიონს. ლეიპციგში 25 ბავშვი მოკვდარა სიმშილით. მიუხედავათ თვით გერმანელებისა და სხვა ქვეყნების დახმარებისა, დღემდისაც ვერ გამოუნახავთ საშუალება, რომლითაც შეიძლებოდეს მშიერ გერმანელთა ბავშვების მდგომარეობის გაუმჯობესება.

### პროლეტარიატის საერთაშორისო სოლიდარობა.

„ფორვერტსი“ სწერს: ამსტერდამიდან მოსულ ცნობების თანახმად იჰაურ ნავთსადგურში მომუშავე მუშების დადგენილებით გერმანიაში იგზავნება დიდძალი საქონელი გერმანიის ხალხის დასახმარებლათ. ის, რაც ვერ მოახერხეს ბიუროკრატებმა,—მოახერხეს ჰოლლანდიის სოციალისტურ პარტიის ხელმძღვანელებმა გერმანიის კომისიასთან ერთად. გაზეთი შემდეგს შენიშნავს: კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ საერთაშორისო სოლიდარობა პროლეტარიატისა მშრალი სიტყვები არ არის. როდეგაც გერმანიის პროლეტარიატი მძიმე მდგომარეობას განიცდის,—მას იმედი უნდა ჰქონდეს, რომ მხოლოდ პროლეტარიატი იქნება მისი დამხმარე, რომელიც არ დაიშურებს თავისი წვლილი გაიღოს მოძმე პროლეტარიატის სასარგებლოთ.

### იტალია.

### ტურატის აზრი მუშათა მოძრაობის შესახებ.

ტურანში მომხდარ მუშათა ფართო გაფიცვის შესახებ სოციალისტურ პარტიის ყრილობაზე ტურატმა შემდეგი განაცხადა: ყოველი სოციალისტის მოვალეობაა ხელი შეუშალოს სამოქალაქო ომის დაწყებას. ტურატი წინააღმდეგია, რათა სოციალისტებმა მთავრობა ჩაიგდონ ხელში. საპარლამენტო პროგრამიდან, ტურატის აზრით, სოციალისტებმა უნდა ისწრაფონ ეხლავე განახორციელონ შემდეგი მუხლები: კაპიტალის დაბეგვრა, სოული თავისუფლება საგარეო ვაჭრობისა და მიწის სოციალიზაცია.

### შვეცია.

### ხელოსანი მუშების გაგზავნა რუსეთში.

გაზ. „ეხო-დე-პარი“ იტყობინება: ლითონზე მომუშავე შვედელ მუშებმა, რიცხვით 8 ათასმა, თანხმობა განაცხადეს რუსეთში წავიდნენ სამუშაოთ. მათმა წარმომადგენლებმა ინახულეს ლიტვინოვი და ისაუბრეს მასთან რუსეთში წასვლის შესახებ. 2000 მუშა დაწუნებული იქნა, დანარჩენი 6000 მალე გაიგზავნება რუსეთში. პეტროგრადში და შემდეგ ურალის რაიონში წინასწარ მიემგზავრება სპეციალური კომისია, რომელიც გაეცნობა ადგილობრივ პირობებს.

### ლატვია.

### საზავო მოლაპარაკება რუსეთთან.

16 აპრილს რეველში შესდგა გაერთიანებული სხდომა საბჭოთა რუსეთისა და ლატვიის საზავო დელეგაციებისა იოფფეს თავმჯდომარეობით. იოფფემ განაცხადა, რომ ლატვიის დელეგაციის მიერ წამოყენებული საზავო პირობები მისაღებია საბჭოთა მთავრობისათვის. მხოლოდ უკანასკნელი ვერ იკისრებს აუნაზღაუროს ლატვიას ომის დროს მიყენებული ზარალი და აგრეთვე მისცეს კომპენსაცია ლატვიას ნავთსადგურებით სარგებლობის გამო.

### დამოკიდებულება უკრაინასთან.

რიგაში მყოფ უკრაინის მისიის თავმჯდომარეს ლატვიის გარეშე საქმეთა მინისტრმა გადასცა აქტი უკრაინის დამოუკიდებლობის ცნობის შესახებ. ამ ცნობის რეალური შედეგი ის არის, რომ მოეწყო განსაკუთრებული კომისია, რომელმაც უნდა განიხილოს საკითხი უკრაინასთან სავაჭრო დამოკიდებულებათა აღდგენის შესახებ.

### ჩეხო-სლოვაკიაში.

### სოციალდემოკრატების გამარჯვება არჩევნებში.

პრაგის გაზ. „პრაგი ლიდუს“ ცნობით დეპუტატთა პალატაში არჩეულნი არიან: 77 ჩეხელი სოციალდემოკრატები, 32 გერმანელი ს. დემ., 10—მადიართა ს.-დ. 22—ჩეხელი სოც. დემ., სულ—141 სოციალისტი დეპუტატი. ბურჟუაზიულ პარტიებიდან გაიყვანეს: აგრარიებმა და შრაბარის სლოვაკურ პარტიამ—41 დეპუტატი, ნაც.-დემ.—17, კლერიკალებმა—35, სავაჭრო-სამრეწველო პარტიამ—4, გერმანულ პარტიამ—40, სულ—137 ბურჟუაზიულ პარტიების წარმომადგენელი დეპუტატი.

## 26 მაისი

### პროვინციაში.

ახალ-სენაკი. 26 მაისის დღესასწაული აქ კარგა ჩატარდა. დილიდან გაიმართა მიტინგი. დაკეტილ იქნა ყველა სავაჭროები, დაწესებულებები, სახელოსნოები და გამოფენილ იქნა ეროვნული დროშები. დაწესებულებები და სახლები დღის შესაფერისად მორთულ იქნა ყვავილებით და გირლიანდებით „26 მაისის“ წარწერით ცოცხალი ყვავილებისაგან. დილის 11 საათზე ყველა დაწესებულებების და ორგანიზაციების წევრებმა თავი მოიყარა თავისუფლების მოედანზე, სადაც მიტინგი იყო გამართული. წაკითხულ იქნა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების აქტი მილოცვებით. აქტის წაკითხვის დროს მუსიკა და ხორო ასრულებდა ეროვნულ ჰიმნს. წარმოითქვა სიტყვები დამფუძნ. კრების წევრ ი. სალაყაიას და სხვადასხვა პარტიების წარმომადგენლების მიერ. მიტინგის შემდეგ პროცესიამ შემოიარა ქალაქის ქუჩები და გაემართა ძმათა სასაფლაოსკენ, სადაც ადერბეიჯანის ფრონტზე გმირულად დაცემული გვარდიელები განისვენებენ. პროცესიას წინ მიუძღოდა მხედარი ეროვნულ ტანისამოსში და დროშით ხელში, მას მიუყვებოდენ თეთრ ტანისამოსში გამოწყობილი ბავშვები, რომლებიც ყვავილებს უფენდენ ემბლემას. მას მოუყვებოდა ავტომობილი მორთული ყვავილებით და მასში ემბლემა ეროვნული ტანისამოსში გამოწყობილი ქალი.

შემდეგ ცხენოსან მომღერალთა გუნდი, რევოლიუციონური დროშები, მუსიკა, მოწაფეები, გვარდია [illegible] „ძმათა სასაფლაოზე“ [illegible] შემ, ნიშნად საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვისათვის დაღუპულ გმირებისადმი პატივისცემისა დროშა დახარა მათ საფლავის წინ. ქალმა ემბლემამ შეამკო საფლავი გვირგვინით. თეთრებში მორთულმა ბავშვებმა რამოდენიმეჯერ შემოუარეს საფლავს, დაიჩოქეს მათ წინ, შეამკეს ყვავილებით და ყვავილებისგანვე გაკეთებული ასოებით: „გმირები“. ამ დროს მუსიკამ დაუკრა სამგლოვიარო მარში და ხორომ შეასრულა „მსხვერპლად დაეცით“. საფლავზე მგრძნობიარე სიტყვა წარმოსთქვა ამხ. რ. გამსახურდიამ, რომლის შემდეგ პროცესია დაიშალა.

ოთხ საათზე გამართულ იქნა ცხენების მარული. ხუთ საათზე—მიქელაძის ეზოში ფასიანი სხვადასხვა გასართობები. დილიდან საღამომდის სწარმოებდა ყულაბებით და სხვა საშუალებებით ფულის მოგროვება. საღამოს გაიმართა წარმოდგენა, რამაც საგრძნობი შემოსავალი დასტოვა. მთელი დღის შემოსავალი გადაიდო ფრონტისთვის. აღსანიშნავია, რომ ამ დღესასწაულში ყველა ღებულობდა მონაწილეობას: დიდი, პატარა, ქალი, კაცი, ყველა ვალდებულად ხდიდა თავს, თავისი წვლილი შეეტანა, რაც აიხსნება მით, რომ ყველა კარგათ გრძნობდა დღის შემოსავლის დანიშნულებას. წინეთ თუ სამეგრელოს დემოკრატიაში ასეთი საქმის შესახებ აზრთა სხვადასხვაობა იყო, ეხლა მსგავსიც არაფერია. წინეთ თუ უბრალო პროვოკატორი წყალს ამღვრევდა, ეხლა ხმის ამოღებას ვერ ბედავს, ვინაიდან სამეგრელოს დემოკრატიამ ამ რევოლიუციის პროცესში კარგად გაიცნო ისინი, რა ვაჟბატონები არიან და საერთო საქმეს ყველა ისე ეკიდება, როგორც საკუთარ თავიანთ ოჯახს. წინეთ თუ სამეგრელოს ხალხი ჩაფიქრობდა საერთო საქმეში თავისი წვლილი შეეტანა, ეხლა არამც თუ პირნათლად ასრულებს მას, არამედ მასთან ერთად თავის ღვიძლ შვილებსაც ხმის ამოუღებლად გზავნის ბრძოლის ველზე და თუ რამე აბადია, უგზავნის ფრონტზე მეომრებს, რომ მით გაამხნეონ და უთხრას: „ნუ გეშინიათ, ჩვენც თქვენთან ვართ“-ო.

**ივლიანე.**

ახალსენაკი. ნოჯიხევის მრავარიცხოვანი კრება 26 მაისის დღესასწაულის გამო სალამს უძღვნის რესპუბლიკის მთავრობას, ჯარს, გვარდიას და ალუთქვამს თავდადებულ ბრძოლას დამოუკიდებლობის დასაცავათ.

მონდობილობით იოსავა.

## ნეკროლოგი.

### კოსტა მუმლაძის ხსოვნას.

ულმობელმა სიკვდილმა უდროვოდ გამოგვტაცა ხელიდან ძვირფასი ამხანაგი კონსტანტინე სისოს ძე მუმლაძე.

იგი დაიბადა სოფ. ვერტყვილის-ჭალას და ამ მსოფლიო ომის დროს გაწვეულ იქნა ჯარში. ბრძოლის დროს დატყვევებულ იქნა გერმანელების მიერ და მხოლოდ 4 წლის ტყვეობის შემდეგ ეღირსა დაბრუნებოდა სამშობლოს და თავის ძვირფას დედ-მამას. ამ უკანასკნელ დროს, როდესაც ჩვენს სამშობლოს საფრთხე მოელოდა გარედან შემოსეულ მტრისაგან, ამხ. კოსტა სხვებთან ერთად სიხარულით გავიდა ჯარში პირველ გაწვევისათანავე, რომ თავისი წმინდა მოვალეობა მოეხადნა სამშობლოს წინაშე და დაეცვა იგი ყოველივე გასაჭირისგან. მაგრამ არ დასცალდა მას თავისი წვლილის შეტანა და ახალქალაქში მცირე ავადმყოფობის შემდეგ 14 მაისს, სიცოცხლით ალსავსე 25 წლის ვაჟკაცი გარდაიცვალა.

გულდათუთქული დედ-მამა მისი' ულრმეს მადლობას უცხადებს ედიშერ გოგალაძეს, ერასტი და ვ. ლომიძეებს და მიხაკო მუმლაძეს, რომ მათ უკანასკნელად თავის მოვალეობა მოიხადეს ამხ. კოსტას წინაშე, არ დასტოვეს იგი ახალქალაქში დაღუპულ დედ-მამისგან უნახავ- დაუტირავი და მისი ცხედარი თავის სოფლის სამარის კარამდე მიასვენეს. აგრეთვე დიდი მადლობა მე-11-ტე ათასეულის ჯარისკაცებს, რომლებმაც თავისი წვლილი გამოიღეს და ამხ. კოსტას ადგილზე დაკრძალვისათვის შემოსწირეს შემდეგი: პირველმა გუნდმა 1943 მანეთი, მეორემ—1200 მ., მესამემ—500 მან., მეოთხემ—600 მან., მეხუთემ—400 მან., მეექვსემ—300 მან.

მშვიდობით ძმაო კოსტა. შენი სახელი დაუვიწყარი იქნება შენს ძვირფას ამხანაგთა შორის.

**ვანო ლომიძე.**

### ვანიჩკა გუნცაძის ხსოვნას.

ორმოცი დღე შესრულდა, რაც დაუნდობელმა სიკვდილმა გამოგვტაცა ხელიდან სიცოცხლით სავსე და უძვირფასესი, ნიჭიერი ახალგაზრდა ვანიჩკა გუნცაძე. ის ხაშურის გიმნაზიის მე-8 კლ. მოწაფე იყო, პირველ მოწაფედ ითვლებოდა. ორმოცი დღე გავიდა, მაგრამ გრძნობა-გონება საყვარელი ადამიანისადმი ისეთი ყოფილა, ასე მგონია ერთი დღეც არ გასულიყოს მას შემდეგ, რაც ის უკანასკნელად ვიხილე.

დღეს ვანიჩკას თავის სოფელში სორმოცის გადაუხდიან დამწუხრებული მშობლები, დღეს კიდევ ნახავენ და ჩაეკვრებიან საფლავს უძვირფასეს შვილისას.

მშვიდობით დაუვიწყარო ადამიანო! თუმცა შენ აღარ ხარ ჩვენთან, მაგრამ ხსოვნა შენი წაუშლელი იქნება ჩვენი გულის ფიცარზე.

**გერასიმე ა. ფერაძე.**

# სატარიფო პალატა
### მომარაგების ფონდი

21 მაისს გოლდმანის თავმჯდომარეობით შესდგა სატარიფო პალატის სხდომა. შრომის მინისტრის ამხანაგმა ა. ბახტაძემ გააკეთა მოხსენება მომარაგების ფონდის შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მომარაგების ფონდმა დაიწყო მოქმედება 1919 წ. ნოემბრიდან. პირველათ ის აწვდიდა სურსათ-სანოვაგეს 20 ათას სულს, მაისში ეს რიცხვი გაიზარდა 64 ათასამდე. ამ ჟამად კი ულუფა აღწევს 70 ათას. სასურსათო ულუფა უმთავრესად ეძლევათ თფილისის მუშა - მოსამსახურეებს. პროვინციებში მხოლოდ ზოგიერთ ქალაქებში მოეწყო სურსათის მიწოდების საქმე. პროვინციებში სურსათის მიწოდება რეგულიარულათ არ სწარმოებს და უმთავრესად აწვდიან იქ ფქვილს. პროვინციაში დარიგებულია სულ 3 ათასი ფუთი ხორბლის ფქვილი, სიმინდი 600 ფუთი. თფილისში დაიხარჯა 165,009 ფუთი ფქვილი, 10,000 ფუთი შაქარი, 16 ათასი ფუთი ბრინჯი. მუშათა მაგიდამ შეიძინა 505 ფუთი ჩაი, რომლის მომეტებული ნაწილიც დახარჯული არის. მუშათა მაგიდამ შეიძინა აგრეთვე 200 ათასი ფუთი ნავთი, ნახევარი დარიგებულია. მიეცათ მუშებს აგრეთვე სპიჩკა და ნახშირი. მუშათა მაგიდამ შეიძინა სამი ვაგონი თევზი, მაგრამ რადგანაც მასზე მოთხოვნილება ნაკლები იყო, თევზის დამზადება შეჩერებულ იქნა. დაურიგდათ აგრეთვე იაფ ფასებში ჩუსტები, შუშა და სხვა. 30 მილიონ მანეთის მანუფაქტურა იქნა შეძენილი. 20 მილ. მანეთის უკვე დარიგდა.

მომარაგების ფონდში მთავრობამ შეიტანა 50 მილ. მან., თფილისის ქალაქის თვითმართველობამ და ქალაქთა კავშირმა 4,5 მილ., კერძო მწარმოებლებმა 6,777,200 მან. სულ შემოტანილია 61,212,150 მან. მაგრამ ეს ფული უკვე დიდი ხანია რაც აღარ არის. ზარალი იყო უმთავრესად პურზე და შაქარზე. პურზე ზარალი იყო 54,998,408 მ., პროვინციაში პურზე ზარალი იყო 280 ათასი მან., ფქვილზე 80 ათასი მანეთი. შაქარზე იზარალა მუშათა მაგიდამ თფილისში 4,655,180 მან., პროვინციაში 608,250 მან. საერთოდ დეფიციტი 60 მილიონს აღწევს.

თუ ეს დეფიციტი ფონდის მონაწილეებს გადახდათ—მთავრობამ უნდა დაფაროს—30 მილ. მან., მუნიციპალიტეტმა—16 მილ. მან.

მიუხედავათ ასეთი დეფიციტისა, მომარაგების ფონდმა დიდი დადებითი შედეგები მოიტანა.

რეალურად რამოდენიმეთ ასწია ხელფასი, რითაც შეაჩერა ხელფასის ნომინალური ზრდა. მეორეს მხრით ფონდის მოქმედებამ ნიადაგი გამოაცალა მათ, ვინც ლამობდა მუშათა გაჭირვებულ ეკონომიურ მდგომარეობის გამოყენებას ანარქიის გამოსაწვევად. ამიტომ მომარაგების ფონდის მოქმედება უნდა გაგრძელდეს და გადიდდეს ფონდი, რისთვისაც თვითეულ მუშა-მოსამსახურეზე დამატებით უნდა იქნეს გადახდილი კიდევ 1000 მან.

მოხსენებას მოჰყვა აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

მთავრობის მუნიციპალურ დაწესებულებათა წარმომადგენლებმა და კერძო მწარმოებელთა წარმომადგენელმა ხანდანოვმა სრული თანხმობა განაცხადეს მომარაგების ფონდში დამატებითი ფულის შეტანაზე.

შრომის მინისტრის ამხანაგმა ა. ნ. ბახტაძემ დეფიციტის დაფარვის შესახებ განაცხადა, რომ ეს საკითხი მთავრობას ჯერ არ განუხილავს და მისი აზრით იგი უნდა განაწილდეს ფონდის მონაწილეთა შორის.

ხანდანოვს მიაჩნია, რომ წარმოების განვითარებისთვის მიზან-შეწონილი იქნება, რომ კერძო მწარმოებლებს დაევალოს დეფიციტის მხოლოდ ერთი ნაწილის დაფარვა.

მადისონი აცხადებს, რომ საზოგადოებრივი ორგანიზაციები დეფიციტის დასაფარავად თავის წილს დაუბრკოლებლივ გადაიხდიან.

დასასრულ პალატა ადგენს, რომ მომარაგების ფონდის მოქმედება უნდა გაგრძელდეს, ამ მიზნით 1 ივნისამდე ყველა მონაწილეებმა უნდა გადიხადონ დამატებით 1000 მან. თითო მუშა-მოსამსახურეზე.

დეფიციტის დაფარვის საკითხი გადაიდო ვიდრე მთავრობა თავის აზრს გამოსთქვამდეს ამ საკითხზე.

# პროფ. კავშირებში
### საქართველოს ყველა პროფესიონალურ კავშირთა და საბჭოთა საყურადღებოდ.

საქართ. პროფ. კავშ. ცენტრ. საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს გადაწყვეტილი აქვს რესპუბლიკის პროფესიონალურ კავშირთა ყოველმხრივი შესწავლა. ამ მიზნით მან უკვე დაგზავნა პროვინციაში საანკეტო ფურცლები შესავსებად. პროფესიონალურ კავშირების და საბჭოების საყურადღებოდ ვაცხადებთ, რომ თუ რომელიმე კავშირს ასეთები ჯერაც არ მიუღიათ, გვაცნობოს და მეორედ გავუგზავნით. ვინც მიიღო, ნუ დააგვიანებენ შევსილ ფურცლების უკანვე დაბრუნებას.

ჩვენი თხოვნაა პროფესიონალურ კავშირთა და საბჭოებისადმი ყოველმხრივ ხელი შეგვიწყონ დაწყებულ საქმის დამთავრებაში.

**საქ. პროფ. კავშ. ცენტრ. საბჭ. აღმ. კომიტეტი.**

### საბჭოს სხდომა.

თფილისის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს სხდომაზე 16 მაისს თავმჯდომარეობს ამხ. ალ. ხელაძე.

### 1. ფრონტზე გასაგზავნ დელეგაციის არჩევნები.

ამხ. ხელაძე აღნიშნავს მუშების ერთსულოვნებას მებრძოლთა დახმარების და „ზურგის" გამაგრების საქმეში. მართალია, მთავრობა ფრონტს დიდ ყურადღებას აქცევს, მაგრამ თფილისის მუშები მაინც უგზავნიან მრავალ საჩუქრებს ჩვენი თავისუფლების დამცველ მეომრებს, რომ უკანასკნელთ უფრო მკაფიოთ იგრძნონ, თუ როგორის სიყვარულით ეპყრობა მათ პროლეტარიატი. მოხსენების შემდეგ ირჩევა დელეგაცია, რომელიც წაიღებს ფრონტზე საჩუქრებს. არჩეულ იქნენ ამხ. ხელაძე და საგირაშვილი. დანარჩენები კი გაგზავნილ იქნებიან მსხვილი კავშირებიდან.

### 2. სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეების პროფეს. კავშირის წესდების დამტკიცება.

მოხსენებას აკეთებს ამხ. ხელაძე. ის ამბობს, რომ წესდებაში, რომელიც წარმოადგინა აღნიშნულმა კავშირმა ისეთი მუხლები იყო, რომლებიც ნებას აძლევდა ადმინისტრატიულ პირებს კავშირში შესულიყვნენ. მაგრამ სეკრეტარიატმა ამოშალა ასეთი მუხლები და წესდება ნორმალური ხასიათისაა.

ამასთანავე სეკრეტარიატი შეეცადა შეეერთებია აღნიშნული კავშირი სახელმწიფო დაწესებულებათა დაბალ მოსამსახურეების პროფეს. კავშირთან, მაგრამ უკანასკნელი უარს ამბობს ახალ კავშირის შეერთებაზე. კამათის შემდეგ, რომელშიაც მიიღეს მონაწილეობა დასახელებული კავშირების წარმომადგენლებმა, საბჭომ დაადგინა: სიტყვა „დაბალი" წაშლილ იქნას სახელმწიფოს დაბალ მოსამსახურეთა კავშირის სახელწოდებიდან და მას შეუერთდეს ახალი კავშირი სახელმწიფო მოსამსახურეთა. რომ ადმინისტრატიულ პირების ყოფნა შესაძლებელი არ შეიქმნეს ახალ კავშირში, საბჭო ირჩევს კომისიას ხუთ კაცისაგან, რომელიც გადაათვალიერებს ახალ კავშირის წევრთა სიას. კომისიაში საბჭოდან შედიან: ამხ. ჩხენკელი, თამაზაშვილი და ოოფაძე და დასახელებულ ორ კავშირიდან თითო წარმომადგენელი.

### 3. დამატებითი არჩევნები მომ. რიგ. კამერის მუშ. სექ. წევრებისა.

ამხ. მოვშენზონის მოხსენების შემდეგ, რომელშიაც აღნიშნული იყო კამერის მუშათა სექციის მოდუნებული მუშაობა და წევრების უმრავლესობის მიერ ინდიფერენტიზმის გამოჩენა სექციის მუშაობისადმი, საბჭო ირჩევს დამატებითი ახალ წევრებს: ამხ. ფანცხავას, თამაზაშვილს, გერსამიას, ლაცაბიძეს, მემარნიშვილს, ცხვედაძეს და კანდიდატათ ბიბილეიშვილს.

### 4. კოოპერატიულ ბანკის შესახებ.

ამხ. ხელაძე საბჭოს აცნობს სეკრეტარიატის გადაწყვეტილებას საქ. კოოპერ. კავშირების მიერ ფულის შეტანის შესახებ. აღნიშნავს კოოპერ. ბანკის მნიშვნელობას და მოუწოდებს საბჭოს, რომ მან დაადასტუროს სეკრეტარიატის გადაწყვეტილება. საბჭო ერთხმად ადასტურებს სეკრეტარიატის გადაწყვეტილებას.

კრების დახურვის წინ თავმჯდომარე აცხობს საბჭოს, რომ მუშათა სასახლეში გაიხსნა საპარიკმახერო და კბილის ექიმის კაბინეტი, სადაც კავშირის წევრები 50 პროც. დაკლებით ისარგებლებენო.

საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალურ საბჭოს გაფართოებული თათბირი დანიშნულია პარასკევს, 4 ივნისს. თათბირი გაიხსნება მუშათა სასახლეში საღამოს სრულ 5 საათზე. თათბირს დაესწრებიან საბჭოს წევრები, ადგილობრივი საბჭოების თითო წარმომადგენლები და წარმომადგენლები იმ საბჭოებისა, რომლებიც დაარსებულია პირველ ყრილობის შემდეგ. თათბირის მუშაობა განსაზღვრულია გაზეთებში უკვე გამოქვეყნებულ დღის წესრიგით.

# სენატში

საქართველოს სენატის სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტის საადმინისტრაციო განყოფილების საკრებულოს სხდომაში 1920 წლის ივნისის 23-ს დანიშნულია განსახილველად შემდეგი საქმეები:

1) საჩივარი ხონის ქალ. გამგეობისა ქუთ. ოლქის სასამართლოს საადმინ. განყოფ. 1919 წლ. 2 ივნისის გადაწყვეტილებაზე, რომლითაც გაუქმებულია ქალ. ხონის გამგ. 1919 წლ. 24 იანვ. დადგენილება ჩხენკელის სახლის რეკვიზიციის შესახებ.

2) საჩივარი დავით ენგელისა სოხუმის ოლქის სასამ. საადმინ. განყოფ. 1919 წლ. 8—15 დეკემბრის გადაწყვეტილებაზე, რომლითაც უყურადღებოდ დატოვებულია ენგელის საჩივარი—გუმისტის ერობის გამგ. დადგენილებაზე—მიწის მფლობელობის გადაცემის შესახებ—მიხეილ სონისოვის.

3) საჩივარი ქრისტეფორე ბეშკენიძისა მიწათმოქმედების სამინისტროს განკარგულებაზე გაშენებულ სახაზინო სამოსახლო ადგილის შესყიდვის შესახებ ქალ. ქუთაისში.

4) საჩივარი შორაპნის სამაზრო ერობის გამგეობისა ქუთ. ოლქ. სასამართლოს სამინ. განყოფ. 1919 წლ. 6—13 აგვისტოს გადაწყვეტილებაზე—გაფრინდაშვილების და სხვების დავა მიწის შესახებ სერგო დუდუჩავასთან.

5) საჩივარი მიხეილ სულაძის, შალიკო განუგრავასი და სხვების მიწათ-მოქმედების სამინისტროს განკარგულებაზე მათ გაშენებულ სახაზინო სამოსახლო ადგილის შესყიდვის შესახებ ქალ. ქუთაისში.

# გორის ფონდი

საგარეჯოს სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციამ შესწირა დაზარალებულ გორელებს წევრებს შორის შეგროვილი 1716 მან.

საჭილაოს ხბროიაკას ხე-ტყის ქარხნის მუშებმა და მოსამსახურეებმა შეაგროვეს მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ 2,600 მ., თვით კანტორამ 500 მ. შესწირა. ა. სბროიავაკამ 200 მ., ათანასე ომელჩენკომ 200 მ.

მონდობილობით ნ. კაჭარავა, ა. გეგეშიძე.

ამასთანავე ერთად გიგზავნით მესხეთის გვარდიაში შეგროვილ ერთ დღიურ ჯამაგირს 9474 მანეთს გორის ფონდის გასაძლიერებლად.*)

თავმჯდომარე: ი. გაგნიძე.

# ს. დ.-პარტიაში
### თფილისი.

27 მაისს შესდგა საქ. სოც. დემ. მ. პარტიის მეორე რაიონის კოლექტივის წევრთა სხდომა. ცენტრიდან და თფილისის კომ. მოხსენება გააკეთეს ამხ. მ. ტორომელიძემ და ს. თევზაძემ. ვინაიდან საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობა მოწვეულია 6 ივნისს და რაიონის საზოგადო კრებას არ გაურჩევია ყრილობისთვის დღის წესრიგში დასმული ყველა კითხვები, ადგენს, სამშაბათს, 1 ივნისს მოწვეულ იქნეს მეორე რაიონის პარტიის წევრთა საზოგადო კრება, სადაც განხილული იქნება პარტიულ ყრილობის დღის წესრიგის წინა საზოგადო კრების მიერ გაურჩეველი საკითხები და არჩეულ იქნებიან დელეგატები პარტიულ ყრილობისათვის, კოლექტივმა დაადგინა აღნიშნულ საზოგადო კრებაზე მომხსენებლათ მოწვეულ იქნას ამხ. ნ. რამიშვილი.

დასასრულ დასახელებულ იქნა ყრილობის დელეგატებათ კანდიდატები რომლის სია წარედგინება მომავალ საზოგადო კრებას.

**თედ. ხუხუნაიშვილი.**

### ნავთლუღი.

27 მაისს შესდგა მე-7-დე რაიონული კოლექტივის ჩვეულებრივი სხდომა. დღიურ წესრიგში იყო: 1) მოხსენება თფილისის კომიტეტიდან, 2) მუშათა კლუბის შესახებ, 3) საზოგადო კრების მოწვევა, 4) განცხადებები.

თფილისის კომიტეტიდან მოხსენებას აკეთებს ამხ. ლორია, რაც მიღებული იქნა ცნობათ.

მეორე კითხვის შესახებ ამხ. სარველაძე ამბობს, რომ კლუბის გამგეობა სრულებით არ მუშაობს და კლუბიც არ მოქმედობს. ამიტომ საჭიროა ერთხელ და სამუდამოდ დაძლეულ იქნას ყოველივე დაბრკოლებები და ამხანაგებმა, რომლებსაც ევალებათ, მიაქციონ ყურადღება კლუბის საქმეებს; კოლექტივმა დაადგინა: მიეცეს წინადადება გამგეობის წევრებს ენერგიულად მოჰკიდონ ხელი საქმეს, წინააღმდეგ შემთხვევაში მოთხოვოს მათ პასუხი. დადგენილ იქნა, —მოხდეს საერთო კრება ხუთშაბათს, 3 ივნისს, ყრილობაზე დელეგატების ასარჩევად, იმავე დღეს წინასწარ შეიკრიბოს კოლექტივი.

**პასელი.**

18 მაისს ს. ბეშტაშენში (ბორჩალოს მაზრა). შესდგა კრება წალკის ს. დ. მუშათა პარტის კომიტეტისა. კრებას დაესწრო დამფ. კრებ. წევრი ქუმსიაშვილი, თემის მომწყობი ინსტრუქტორი ამხ. ბარტყულაშვილი. დასმული იყო შემდეგი საკითხები: 1) თემის არჩევნების მოხდენა ახლო მომავალში; კრებამ მცირე კამათის შემდეგ სასურველათ სცნო არჩევნები მოხდეს 23 მაისს. დაევალა კომისიას არჩევნებამდის მასას გააცნონ თემის მნიშვნელობა და კანდიდატების სია. 2) პარტიულ მუშაობის გაფართოება, დაევალა იმავე კომისიას ხალხში აგიტაციის გაწევა და პარტიის გაცნობა. 3) საკითხი იყო ესერების მეორე დამატებითი საარჩევნო სიების დამტკიცება, კომიტეტის კრებამ მიიღო მხედველობაში, რომ პროპორციონალურათ ესერების კანდიდატები საკმაოთ არის მიღებული, ახალი დამატებითი სია კანდიდატებისა არ უნდა იქნას მიღებული და დამტკიცებული.

**დ. ე.**

### გურია.

მომავალ ს. ს.-დ. მ. პ. ყრილობისათვის მზადება უკვე სწარმოებს გურიის ორგანიზაციებში, არჩევენ დღის წესრიგში დასმულ ზოგიერთ საკითხებს და ირჩევენ ყრილობაზე გასაგზავნ დელეგატებს. სამაზრო კომიტეტის პრეზიდიუმში მიღებულ ცნობებით არჩევნები თითქმის ყველა რაიონში დათავებულია, ირჩევენ როგორც ადგილობრივს, ისე თფილისში მყოფ ამხანაგებს. ჯერ-ჯერობით არჩეულნი არიან დელეგატებათ: 1) ჩიბათისა და ჯურუყვეთის რაიონიდან—ნ. ჟორდანია; 2) დიდი-ვანის, შუასურების და ზემოსურების რაიონებიდან—ნ. რამიშვილი, 3) ზემოხეთის, საჯამიასერისა და კოხნორას რაიონიდან—ს. ჯიბლაძე, 4) ერკეთისა და ხევის რაიონებიდან—ბ. ჩხიკვიშვილი, 5) ლიხაურიდან—სალუქვაძე, 6) ჩოხატაურიდან—ათ. ცინცაძე, 7) დვაბზუსა და შემოქმედის რაიონიდან—გ. შიდაძე, 8) ჯუმათისა და ძიმითის რაიონებიდან—გ. საბაშვილი, 9) ნატანების რაიონიდან—ჯერ არ არის ოქმები მიღებული. ამ დღეებში არჩევნები ყველგან დათავდება; გურიიდან სულ არჩეული უნდა იქნას პარტიის წევრთა რაოდენობის მიხედვით 20—22 დელეგატი.

**ჰუსეინ.**

# მუშათა შორის
### თფილისის საქონლის სადგური.

თფილისის საქონლის სადგურის მუშები და მოსამსახურეები აუტანელ პირობებში იმყოფებიან. წინათ და ეხლაც ჯამაგირების სიმცირე, სიმშილე და ათასნაირი გაჭირვება. მუშები ითმენდენ ყოველივე გაჭირვებას იმიტომ, რომ განმტკიცებიათ რევოლიუცია და შეენარჩუნებიათ საქართველოს დამოუკიდებლობა. სწორეთ ეს მიზანი ჰქონდათ სადგურის მუშებს წინეთაც და ეხლაც და იმიტომ აიტანეს ეს საშინელი გაჭირვება.

დღესაც მუშები დიდ გაჭირვებაში არიან ჩავარდნილი, საშველი არსაიდან არის. აქაური მუშები თვიურათ ღებულობენ 2100 მან., როდესაც სხვა დაწესებულებებში მუშების ჯამაგირი 5000 მან. ადის. მე ვერ წარმომიდგენია, რისთვის ხდება ეს ასე. ყველა ეს გარემოება იწვევს მუშებში უკმაყოფილებას. ნუ თუ ეს გარემოება ანგარიშ გასაწევი არ არის? ერთ დარგში მუშები სამჯერ მეტს ღებულობენ, მეორეში კი, სამჯერ ნაკლებს. ხშირათ შეხვდებით მუშებს, ეუბნებიან ერთმანეთს: ჩვენ რა დავიშავეთ და იმათ რა გააკეთეს. შემიძლია თამამად ვსთქვა, რომ მთელი სიმძიმე ომის დროს რკინის გზის მუშებმა და მოსამსახურეებმა გადაიტანეს და შემდეგ რევოლიუციის განმტკიცებაშიაც რკინისგზელებსდიდი ღვაწლი მიუძღვით. დღეს რკინის გზის მუშები და მოსამსახურეები ასეთ კრიზისს განიცდიან. ამას ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს.

თფილისის საქონლის სადგურში დაახლოვებით 150 კაცია. ემენი მორიგეობენ კვირა-უქმე დღეებშიაც; რამოდენიმე თვე გადის ესენი თხოულობენ კვირა-უქმე დღეების ფულს, მაგრამ ამ სამართლიან მოთხოვნილებას რკინის გზის ადმინისტრაცია ყურადღებას არ აქცევს არც ანგარიშს უწევს.

უნდა იცოდეს რკინის გზის ადმინისტრაციამ და ყველა ორგანიზაციებმა, რომ ეს საკითხი არის ანგარიშ გასაწევი.

**ქრისტინეშვილი.**

# პროვინცია
### ახალციხე.

16 მაისს შესდგა კრება ძველი ნაწილის—რაბათის მცხოვრებლებისა, რომელსაც დაესწრნენ დამფუძნებელი კრების წევრი თ. კიკვაძე და ერობის თავმჯდომარე. კრებამ ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

1) კრება სავსებით იწონებს ყველა ზომებს, მიღებულ მთავრობისა და დამფუძნებელი კრების მიერ ჩვენი დამოუკიდებლობისა და ჩვენი საზღვრების დასაცავათ.

2) კრება სიხარულს გამოსთქვამს ჩვენსა და საბჭოთა რუსეთს შორის ზავის ჩამოგდების შესახებ, სცნობს ამ აქტს ჩვენი ერთსულოვანობისა და ჩვენი დიპლომატიის გამარჯვებათ და ამ გამარჯვებას ულოცავს მთელ საქართველოს დემოკრატიას.

3) კრება აგრეთვე სცნობს იქნას გაგრძელებული მობილიზაცია, რათა მიეცეს საშუალება მთავრობას შეკრიბოს საკმაო ძალა ჩვენი ახალი ბუნებრივი საზღვრების დასაცავათ,—როგორც არის ბათომის და ზაქათალის ოლქები.

4) კრება აღთქმას სდებს დამფუძნებელი კრებისა და მთავრობის წინაშე, რომ არ დაიშურებს არავითარ მსხვერპლის გაღებას ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკის საკეთილდღეოთ.

### სოფელი მოხისი.
### (ქართლი)

16 მაისს სოფელ მოხისში შესდგა დიდი სახალხო მიტინგი, რომელსაც დაესწრო ოცზე მეტი სოფლის მცხოვრებნი. მიტინგი მოიწვია ხაშურის რაიონის საქართველოს სოც. დემოკ. მუშათა პარტიის ორგანიზაციის კომიტეტმა. ორატორებათ გაგზავნილი იყვნენ ამხ. ერმილე შარაშიძე, სიმონ ბაბლიძე და ნიკო სიხარულიძე.

თავმჯდომარეთ ერთხმათ აირჩიეს ამხ. ევანო ნავროზაშვილი.

მიტინგის წესრიგში შედიოდა შემდეგი კითხვები: თანამედროვე მომენტი, აგრარული საკითხი, რესპუბლიკის შინაური მდგომარეობა, სახელმწიფოს თავდაცვა, სწავლა-განათლების საქმე ჩვენში.

ამხანაგებმა შესაფერისათ გაარკვიეს ყველა წამოყენებული საკითხები და ხალხიც მეტათ კმაყოფილი დარჩა.

მიტინგის ბოლოს შემდეგი რეზოლიუცია მიიღეს: „მოხისის საზოგადოების მრავალრიცხოვანმა ყრილობამ 16 მაისს მოისმინა რა მოხსენებები ხაშურის სოციალ-დემოკრ. მუშათა პარტიის ორგანიზაციის მიერ გამოგზავნილ ამხანაგებისა მიმდინარე მომენტზე და სხვა საკითხებზე, რესპუბლიკის მთავრობის ყველა გადადგმულ ნაბიჯებს იწონებს და სრულს ნდობას უცხადებს მას".

**ნიკო გურული.**

### შორაპნის თემი.

23 მაისს, თემის გამგეობის ინიციატივით შესდგა, ერთ და იმავე დღეს სოფ. ფუთში და ს. ილემში მრავალრიცხოვანი მიტინგი, თემის თავმჯდომარის ხელმძღვანელობით. დაესწრო დამფუძნებელი კრების წევრი ერ. კალაძე. მან ვრცლათ გააცნო მიტინგს დამფუძნებელი კრების მუშაობა, მთავრობის მიერ გადადგმული ნაბიჯები და სხვა. მრავალ შეკითხვებზე მომხსენებელმა სათანადო პასუხი გასცა, რამაც კარგი შთაბეჭდილება დასტოვა მსმენელებზე. ორივე ადგილას მიიღეს შემდეგი რეზოლიუცია: „მრავალრიცხოვანმა მიტინგმა მოისმინა რა მოხსენება დამფუძნებელი კრების წევრის ერ. კალაძისა, იწონებს მის მიერ ნდობით აღჭურვილს დამფუძნებელი კრების მუშაობას, და მთავრობის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს, აღუთქვამს მათ ყოველგვარ დახმარებას.

**თავმჯდ. ს. გაჩეჩილაძე.**

### ქ. ლანჩხუთი

26 მაისის დღესასწაული ქ. ლანჩხუთში ჩინებულათ ჩატარდა.

ამ დღეს საზეიმო მინდორი მრავალფეროვანი ვარდ-ყვავილებით იყო მორთული; ერთ ადგილას უკრავდა მუსიკა, მეორე ადგილას იყვნენ ი. ჩაჩელიშვილის ხელმძღვანელობით ჩამწკრივებული მომღერალი მოწაფეთა გუნდი, რომლებიც სხვადასხვა საამური სიმღერებით ატკბობდა მაყურებლებს. შუა ადგილას იდგა ყუთი, სადაც მრავალი ხალხი გარს ეხვია და ილებდნენ ფრონტის სასარგებლოთ ჩვენი დამცველი ჯარის და გვარდიის დასახმარებლათ თავის წვლილს. იქ იყიდებოდა ლატარიის ბილეთები. ხალხი უხვად იღებდა შეწირულებას. ამინდიც ხელს უწყობდა დღეობას.

### წალკის რაიონი (ბორჩალოს მაზრა).

ს. ბარმაქსიზში 17 მაისს ჩვენს მივიწყებულს სოფელს ეწვია დამფუძნებელი კრების წევრი ქუმსიაშვილი. ბ-ნ ქუმსიაშვილს სოფლიდან მოშორებით ადმინისტრაციის თანხლებით შეეგბა სოფლის წარმომადგენლები და მიესალმენ, რის შემდეგ სოფლის შუა გულში მთელი სოფელი მღვ. კატონოვის ხელმძღვანელობით შეხვდა სტუმარს, რომელმაც დამ. კრ. წევრს ვრცლათ გააცნო ხალხის გაჭირვება და სთხოვა სურსათით დახმარება. ქუმსიაშვილმა აღუთქვა შუამდგომლობის აღძვრა მთავრობის წინაშე.

შემდეგ გაიმართა მიტინგი. დამფ. კრებ. წევრმა ხალხს ვრცლად გააცნო არსებული მომენტი, მთავრობის პოლიტიკა, საბჭოთა რუსეთის, სომხეთის, ადერბეიჯანის და საქართველოს ურთიერთ შორის განწყობილება. ხალხი ძლიერ კმაყოფილი დარჩა. გამოტანილი იქნა შემდეგი დადგენილება. ჩვენ, ს. ბარმაქსიზის საზოგადოებამ, მოვისმინეთ რა დამფუძნებელ კრების წევრის ქუმსიაშვილის მოხსენება არსებულ მომენტზე, მზათ ვართ, თუ ეს საჭირო იქნება, 40 წლამდის ყველამ ხელში ავიღოთ იარაღი და გავიდეთ საქართველოს რესპუბლიკის და მისი მთავრობის დასაცველათ.

**გრ. ესმაშვილი.**

# წერ. რედაქციის მიმართ
### ღია წერილი ბ. ლ. ცმუხვარს.

„სახალხო საქმე"-ს № 824-ში თქვენ სწერდით შორაპნის მაზრის ერობის გამგეობის შესახებ, თითქოს მას გ—ძების სათვის დაეტოვებიოს „კონტრაბანდათ" 312 დეს. ნორმა და ამით კანონი დაერღვიოს. ერობის გამგეობა გთხოვთ გაზეთის საშუალებით გვაცნობოთ, თუ ვის გულისხმობდით გ—ძების ინიციალების ქვეშ.

შორაპნის სამაზრო ერობის გამგეობას

მადლობას ვუცხადებთ ხენა-თესვი. ამხანაგობა „შრომას", რომელმაც შემოსწირა კუკიის უფასო წიგნთ-საცავ სამკითხველოს 1000 მ.

**სამკით. გამგეობა.**

ნება მომეცით თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გამოუცხადოთ სიო გოგიჩაიშვილს და ნოე სულაბერიძეს, რომლებმაც თავისი ძმის გმირულად ბრძოლის ველზედ ადერბეიჯ. ფრონტზე გარდაცვალებულის შალიკო გოგიჩაიშვილის ხსოვნის აღსანიშნავათ შემოსწირეს გომახურის უფასო წიგნთ-საცავ სამკითხველოს პირველმა 1000 მ. მეორემ 500 მ.

პატივისცემით გომახურის

**სამკით. გამგეობა.**

# განცხადებანი

რკ. გზის სამოსწავლო განყოფილებას

## ესაჭიროება

პარტები: საკლასო დაფები, კათედრები, შვედური ჩოთქები, ვენის სკამები და სახელმძღვანელო წიგნები. ცნობებისთვის მიმართეთ: ელისაბედის ქ. № 200 სამოსწავლო განყოფილებას, დილის 9—3 ს-მდე. (1675—7—3)

იყიდება

## ერთი მატორი 20 ძალიანი

ოტოდეიცის, 1 ხერხის დაზგა, თუჯის 2 ნავთის ქვაბები, რომელშიაც ჩადის 350 ფ., 8 ხერხი რგვალი 3 ვერშ.—10 ვერშ. 1 წისქვილი ხელოვნური ქვით „შარიკებზედ", 2—„ვაგონეტკა", 22 არშინი რელსები და სხვა. პირობების გაგება შეიძლება ქ. სამტრედიაში სოლომონ მიქელაძის სახლში ადეიშვილთან. (1744—3—1)

## განცხადება

რკინის გზის სასწავლებლ[illegible] სებულ საქსოვ სახე[illegible] რო გამგე. პირობების გაგება შეიძლება რკ. გზის სამოსწავლო უწყებაში ელისაბედის ქ. № 200. (1748—5—1)

ცეკვის სასწავლებელი

## ი. ა. როზენბერგისა

არსებობს 27 წელიწადი, ასწავლის სპეციალურად: აზიურს, საბალეტო და ევროპიულ ცეკვებს. მეცადინეობა ყოველდღე, დილის 8 საათიდან საღამოს 9 საათამდე. ჩქარი და კარგად შესწავლისათვის იძლევა სრულ პირობას. მისამართი: ნიკოლოზის ქ. № 101. (527—5—1)

ექიმი

## სოლომონ ისაიას ძე ვოლოხი

იღებს ქალისა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს დილით 12—2 ს. საღ. 5—7 ს. ბელგიის ქ. № 5. (1742—თ.)

ექიმი

## გენრიხ ისაიას ძე ვოლოხი

ღებულობს ყურის, ცხვირის და ყელის სნეულებიან ავადმყოფებს დილით 1—2 ს., საღ. 4—7 ს. პლეხანოვის პრ. № 76 (მიხეილის), ტელეფონი 7—38. (1741—თ.)

ექიმი **მ. გოლშტეინი**

თვალით ავათმყოფი (სათვალეების გამორჩევა) დილის 9—12 ს. 4—7 საათ. საღ. ნიკოლოზის ქ. № 32. (1587 თ.)

ექიმი

## პ. ნ. ვართანოვი

სპეციალურად კანისა და ვენერიულ სნეულება (სიფილისი „606" და „914" შეშხაპუნება). მიიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. სურამის ქ. № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ. (1700—თ.)

ექიმი

## ე. მ. მძინარიშვილი

სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული და კანის სნეულებანი: მიღება ყოველ დღე 8—1 ს. და 4—7 ს. საკუთარ სამკურნალოში. მისამართი: კუთხე პლეხანოვის (მიხეილის) პროსპექტის და კიროჩნი ქუჩ. №27 ტელ. 10—37. (1638 თ.)

ექიმი

## ნ. მ. გაჩეჩილაძე

(შინაგან და ბავშვთა სნეულებათა) ავათმყოფებს იღებს დილის 8—10, საღამოს 4—7 ს. გრიბოედოვის ქ. № 4. (უ. 25—1)

ექიმი

## ნ. ა. არუთინოვი

სპეციალურათ სიფილისი (606 და 913) ვენერიული ტრიპერი, შარდის ორგანოების ოპერაცია . ნდისკოპია (საშარდე მილის). მიხეილის პრ. № 30, ბინა 3. მიღება დილით 8—12 ს. საღ. 4 ნახ. 6 ნახ. საათამდე. (1555—თ.)

ექიმი

## ა. ლევენშტეინი

შინაგანი და ნერვით სნეულებიანი რენტგენის და ელექტრო სამკურნალო კაბინეტი. მიღება დილის 11—12 ს. და საღამოს 4—7 ს. კრილოვის ქ. № 5, ბინა 3, ტელეფონი 12—46. (1518—თ.)

ოზურგეთში

ექიმი **აბაშიძე**

ღებულობს ავათმყოფებს შინაგან სენით: ფილტვების, გულის, კუჭის და წელების, ჰლექის აქიმობა „ტუბერკულინით" და „ფოსფაციდით", ვენერიული: სიფილისი და მისი შედეგები—„914" და „606" შეშხაპუნებით. კ. სიამაშვილის სახლში. (კუპ. 396.)

კბილის ექიმი

## ე. თ. ლორის-მელიკოვი ჯიბლაძისა

და მისი ასისტენტი მ. ა. დოლიძე იღებენ კბილით ავათმყოფებს: აკეთებენ ხელოვნურ კბილებს, ასწორებენ უსწორმასწორო კბილებს. ავათმყოფებს მიიღებენ დილის 10—2 საათ. და საღ. 4—6 საათ. ანასტასიას ქუჩა № 13. ტელეფონი 3—63. (24—5)

ექიმი

## ნიკოლოზ მახვილაძე

იღებს განსაკუთრებით შინაგან სნეულებით ავათმყოფთ ყოველ დღე, საღამოს 4—6 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის მახლობლად. (1255 48—5)

ექიმი **მ. ა. შაჟრანი**

სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების 4—5 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამათი ოლღას ქ. № 33. (1288 25—3)

## მათემატიკის მასწავლებელნი

ა. დ. ტირუტინი (ყოფ. დირექტ. თ. რ. ს. და წევრი გიმომცდელი კომიტეტისა სამოსწავლო კივკასიის ოლქისა) ივ. მარკ.მაჩაიძე, ყოფილი გამგე და დამაარსებელი სრულუფლებიან გიმნაზიისა, ამზადებენ მოზრდილთა გამოცდებზე შემოდგომისათვის ყველა სასწავლებელში და განსაკუთრებით მათემატიკაში. მსურველთა განმეორებითი გამოცდებისათვის და საფუძვლიანად შესასწავლად. მისამართი: პლეხანოვის ქ. № 25, შესავალი ალექსის ქ. 25, მაჩაიძის ბინა. (ნ. 1—1)

---

*) ფული მიღებულია.

საკუთარი სტამბა, ერთობის ქუჩა № 4.